

ISSN 0206 — 569X



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ეკონომიკისა და  
სამართლის  
სერია

1 . 1988

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე,  
ეკონომიკისა და საშარტლის სერია, 1988, № 1

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ეკონომიკისა და  
სამართლის  
სერია

СЕРИЯ  
ЭКОНОМИКИ И  
ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს  
Журнал основан в 1980 году  
გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца



1. 1988

გამომცემლობა „მეცნიერება“  
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი  
ТБИЛИСИ

**სარედაქციო კოლეჯია:** ა. გუნია (რედაქტორი) ო. გამყრე-  
ლიძე, მ. გველესიანი, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, გ. ნადარეიშვილი,  
ი. ფუტკარაძე, თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიკვაიძე  
(რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია.

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** Гуния А. Л. (редактор), Гамкრелидзе  
О. К., Гвелесиани М. И., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С., Надарейшвили Г. Н.,  
Путкардзе Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н., (зам. редактора), Шавгулидзе  
Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,  
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1988, № 1

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, მახარაძის ქ. № 14  
Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Махарадзе, 14

ტელეფონი 93-22-60    телефон

---

გადაეცა წარმოებას 10.12.87; ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.03.88; შეკვ. № 3918; ანაწყოების  
ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 10,5 სააღრიცხვო-  
საგამომცემლო თაბახი 8,0; საღ-გატარება 11,2; უე 04250; ტირაჟი 980;

ფასი 85 კაპ.

\*  
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

\*  
საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

## შინაარსი

### ეკონომიკა

ი. მესხია, ნ. ხუშუბა, ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების მრავალფაქტორული მოდელირების თეორიულ-მეთოდოლოგიური წინამძღვრები . . . . .	5
თ. ჯგოლოსვა, არაეკონომიკური დრო, როგორც არამატერიალურ (სულიერ) ურთიერთობათა არსებობისა და განვითარების ობიექტური ფორმა . . . . .	15
ბ. ბაღიანაშვილი, რეგიონის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის მიზნობრივი ორიენტაციის განვითარების სრულყოფა . . . . .	27
რ. შიგვილაშვილი, შიგასაქალაქო საფოსტო გადაზიდვის ოპტიმალური ორგანიზაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა . . . . .	36
დ. პაპსაშვილი, საწარმოო გაერთიანების პირველადი სამეურნეო ანგარიშიანი რგოლის განვითარების საფუძვლები . . . . .	47
ვ. პაპავა, ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების შეფასებისადმი სახალხო მეურნეობრივი მიდგომის შესახებ . . . . .	54
ლ. გუგუშვილი, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა . . . . .	66
პ. იოსელიანი, მეურნეობრივობის ახალ პირობებში საბითუმო ვაჭრობა კომერციის ცენტრალური რგოლია . . . . .	72

### სამართალი

პ. შამხაძე, დამნაშავეს პიროვნება და მისი მნიშვნელობა სასჯელის განსაზღვრისათვის . . . . .	76
ი. გომიაშვილი, ქალაქის თავისებურება და არასრულწლოვანთა დამნაშავეობა . . . . .	87
რ. შიშია, საწარმოს ფილიალის შრომის სამართალსუბიექტობის შინაარსის განსაზღვრისათვის . . . . .	92
ბ. ლეჟავა, ამერიკულ კრიმინოლოგიაში შედარებითი გამოკვლევის მცდელობის შესახებ . . . . .	99
ს. გოგინავა, „ჯელმწიფის კარის გარიგების“ ერთი ტერმინის გამო („სიკისტრონი“) . . . . .	104

### რეცენზია, კოლექცია, ინფორმაცია, ჟრონიკა

საბჭოთა კავშირ-ამერიკის X სიმპოზიუმი . . . . .	107
გამოკვლევა პროდუქტიულობის საკითხებზე . . . . .	117
აქტუალური პრობლემის განხილვა . . . . .	119



## СОДЕРЖАНИЕ

### ЭКОНОМИКА

Я. Е. Месхия, Н. Б. Хучуа. Теоретико-методологические предпосылки многофакторного моделирования экономического анализа и прогнозирования . . . . .	5
Т. Г. Джоховава. Неэкономическое время — объективная форма существования и развития нематериальных (духовных) отношений . . . . .	15
Г. В. Бедианашвили. Совершенствование целевой ориентации развития научно-технического потенциала региона . . . . .	27
Р. Ф. Шимшилашвили. Оптимальная организация внутригородских почтовых перевозок — важнейшее условие эффективности научно-технического прогресса . . . . .	36
Д. Ш. Паксашвили. Основы развития первичного хозрасчетного звена — производственного объединения . . . . .	47
В. Г. Папава. О народнохозяйственном подходе к оценке использования основных производственных фондов . . . . .	54
Л. И. Гугушвили. Верхне-алазанская оросительная система . . . . .	66
К. А. Иоселиани. Оптовая торговля в новых условиях хозяйствования — центральное звено коммерции . . . . .	72

### ПРАВО

К. А. Камхадзе. Личность преступника и ее значение для определения наказания . . . . .	76
И. В. Годзишвили. Особенность города и преступность несовершеннолетних . . . . .	87
Р. Д. Пипия. К определению содержания трудовой правосубъектности филиалов предприятий . . . . .	92
Г. Ш. Лежава. О попытке сравнительного исследования в американской криминологии . . . . .	99
С. А. Гогинава. О термине «сикистрон» в «Распорядке царского двора» . . . . .	104

### РЕЦЕНЗИЯ, ПОЛЕМИКА, ИНФОРМАЦИЯ, ХРОНИКА

Х Советско-американский симпозиум . . . . .	107
Исследование по вопросам продуктивности . . . . .	117
Обсуждение актуальной проблемы . . . . .	119

# ე კ ო ნ ო მ ი კ ა

## ი ა კ ო ზ მ მ ს ნ ი ა , ნ უ ზ ზ ა რ ხ უ ზ უ ა

### ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების მრავალფაქტორული მოდელირების თეორიულ-მეთოდოლოგიური წინამძღვრები

სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებულ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიას საფუძვლად უდევს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, მართვის მეთოდებისა და ფორმების სრულყოფა, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმების დანერგვა. ყოველივე ამის საფუძველზე უნდა განხორციელდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვისობრივად ახალ დონეზე აყვანა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება მოითხოვს მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტიული გეგმებისა და პროგნოზების შედგენას კვლევის უახლესი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებისა და გამოთვლითი ტექნიკის ბაზაზე. ცხოვრებამ პრაქტიკულად დაადასტურა, რომ სახალხო მეურნეობის მართვასა და დაგეგმვაში მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებისა და მეთოდების ისეთი სისტემა, რომლებიც აღწერს სახალხო მეურნეობაში არსებულ რეალურ მიზეზობრივ-შედეგობრივ კავშირებს და იძლევა ოპტიმალური ან მასთან მიახლოებული გადაწყვეტილების მიღების საშუალებას.

პრაქტიკაში აპრობირებული ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტრუმენტართაგან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მრავალფაქტორული ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდს, რომლის არსი მდგომარეობს რაოდენობრივი კავშირის დადგენაში წარმოების შედეგსა (საერთო, სასაქონლო, წმინდა პროდუქტია) და საწარმოო რესურსების დანახარჯებს შორის. მთავარია, რომ მრავალფაქტორული მოდელის ფორმა შეესაბამებოდეს კვლავწარმოების რეალურ პირობებს. ამ პოზიციიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ე. წ. საწარმოო ფუნქციების გამოყენება. კ. მარქსის ცნობილი მათემატიკური შრომები „საწარმოო ფუნქციის ცნებაც შესახებ“ და „დიფერენციალის შესახებ“, რომლებიც დაწერილი იქნა 1881 წელს, მოწმობს მის დიდ ინტერესს საწარმოო ფუნქციებისა და დიფერენციალური აღრიცხვის საკითხებზე. ისინი, ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, იძლევიან საშუალებას მათემატიკურად გამოიხატოს არა მარტო მდგომარეობანი, არამედ პროცესებიც: მოძრაობა<sup>1</sup>.

სოციალიზმის პირობებში აღნიშნული მეთოდის გამოყენება ეყრდნობა მარქსისტულ დებულებებს წარმოების ფაქტორების შესახებ. როგორც ცნო-

<sup>1</sup> ენგელსი ფ., ბუნების დიალექტიკა, 1954, გვ. 281.

აივ. სსრ კ. მარქსის  
სახ. საბ. რესპუბ.

ბილია, კ. მარქსი „კაპიტალში“ და „ზედმეტი ღირებულების თეორიაში“ განიხილავდა საზოგადოებრივი წარმოების ორ მხარეს, ერთის მხრივ ღირებულების შექმნის პროცესს და მეორეს მხრივ — საზოგადოებრივი სიმდიდრისა და სახმარი ღირებულების შექმნის პროცესს. „ყოველი შრომა“, — წერდა მარქსი არის ერთ მხრივ ადამიანის სამუშაო ძალის დახარჯვა, ამ სიტყვის ფიზიოლოგიური მნიშვნელობით და როგორც ამ თვისების მქონე, როგორც ადამიანის ერთნაირი ანუ ადამიანის აბსტრაქტული შრომა, იგი ქმნის საქონლის ღირებულებას. მეორე მხრივ, ყოველი შრომა არის ადამიანის სამუშაო ძალის განსაკუთრებული მიზანშეწონილი ფორმით დახარჯვა და როგორც ამ თვისების მქონე, როგორც კონკრეტული სასარგებლო შრომა, იგი ქმნის სახმარ ღირებულებას“<sup>2</sup>.

სწორედ საზოგადოებრივი წარმოების ეს ორი მხარე ღირებულებისა და სახმარი ღირებულების შექმნა და ცოცხალი შრომის ორადი ხასიათი თანმიმდევრულად აისახება კ. მარქსის მიერ გამოკვლეულ შრომითი ღირებულებისა და საწარმოო ფაქტორების თეორიაში.

საწარმოო ფაქტორების მარქსისტული თეორიის ძირითადი ამოსავალი დებულებები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად.

1). მშრომელები და წარმოების საშუალებანი გვევლინებიან საზოგადოებრივი წარმოების ფაქტორებად, სამუშაო ძალა წარმოების აქტიური ელემენტია, წარმოების იარაღების შექმნა-განვითარებასთან ერთად ვითარდება ადამიანის შრომის უნარიც, მისი ნიჭი, ჩვევები, იგი იძენს პროფესიულ გამოცდილებას. „როგორც არ უნდა იყოს, წერს მარქსი — წარმოების საზოგადოებრივი ფორმები, მუშები და წარმოების საშუალებები მუდამ იმის ფაქტორებად რჩებიან, მაგრამ ერთი და მეორეც ერთმანეთისაგან გათიშვის მდგომარეობაში მყოფნი, მის ფაქტორებს წარმოადგენენ მხოლოდ შესაძლებლობის მიხედვით, იმისათვის, რომ საერთოდ აწარმოო ეს ფაქტორები ერთმანეთს უნდა შეუერთდნენ, ის განსაკუთრებული ხასიათი და წესი, რომლითაც ეს შეერთება ხორციელდება განასხვავებს საზოგადოებრივი სტრუქტურის სხვადასხვა ეკონომიკურ ეპოქებს“<sup>3</sup>.

2). კ. მარქსის ეკონომიკურ თეორიაში, სახმარი ღირებულების ანალიზის დროს, ყოველთვის მსჯელობა მიმდინარეობს გამოყენებული წარმოების საშუალებებზე, მაშინ როცა ღირებულების ფორმების ანალიზის დროს ნავარაუდევია მოხმარებული წარმოების საშუალებები. მაშასადამე სახმარი ღირებულების შექმნის პროცესში მონაწილეობს წარმოების საშუალებების მთელი მასა, ხოლო ღირებულების შექმნის პროცესში წარმოების საშუალებები მონაწილეობენ მხოლოდ ნაწილობრივ, რომლებიც პრაქტიკულად საამორტიზაციო ანარქების ტოლია. „რამდენადაც შრომის ეს საშუალებანი პროდუქტის შექმნას ემსახურებიან, პროდუქტს კი ღირებულებას არ უმატებენ, ე. ი. რამდენადაც მთლიანად გამოიყენებიან, მოიხმარებიან კი ნაწილ-ნაწილ, იმდენად როგორც უკვე აღნიშნული იყო ზემოთ, ისინი ისეთივე მუქთ სამსახურს ეწევიან, როგორც ბუნების ძალები: წყალი, ორთქლი, ჰაერი, ელექტრობა და სხვ“<sup>4</sup>.

3) მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება, იწვევს წარმოების აღნიშნული ფაქტორების გამოყენების ეფექტია-

<sup>2</sup> კ. მარქსი კაპიტალი, ტ. I, 1953, გვ. 64.  
<sup>3</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, 1953, გვ. 41.  
<sup>4</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1953, გვ. 767.

მარქსი კაპიტალი  
 ტ. I, გვ. 64.

ნობის ამადლებას, ე. ი. სამუშაო ძალისა და წარმოების საშუალებების ერთი და იგივე მასის პირობებში ისინი წარმოადგენენ დამატებითი სახმარი ღირებულების შექმნის წყაროს. „მეცნიერება და ტექნიკა — მიუთითებდა მარქსი — ქმნის მოქმედი კაპიტალის ექსპანსიის ძალას, ამ კაპიტალის მოცული სიდიდისაგან დამოუკიდებელად“<sup>5</sup>. მაშასადამე, ავანსებული კაპიტალის უცვლელობის პირობებში, მას აქვს უნარი დამატებითი კაპიტალის სახმარი ღირებულების შექმნისა, ამ უნარს განაპირობებს მისი შემადგენელი ელემენტების ელასტიურობა. „მაშინაც კი, როცა მოქმედი კაპიტალის სიდიდე მოცემულია, მასთან შესისხლხორცებული სამუშაო ძალა, მეცნიერება და მიწა შეადგენს მის ელასტიურ პოტენციალს, რომელიც გარკვეულ ფარგლებში კაპიტალს მისი საკუთარი სიდიდისაგან დამოუკიდებელ მოქმედების სარბიელს აძლევს“<sup>6</sup>.

და ბოლოს — საზოგადოებრივი წარმოების ორ მხარეს შეესაბამება საზოგადოებრივი წარმოების შედეგების ორადი აღრიცხვა. კ. მარქსი „კაპიტალში“ იძლევა წლიური საზოგადოებრივი პროდუქტის ორ განმარტებას: პირველი წლიური საზოგადოებრივი პროდუქტი, როგორც სახმარ ღირებულებათა ჯამი, როგორც სასარგებლო შრომის შედეგი, „...წლიური პროდუქტი არის სასარგებლო შრომის შედეგი, რომელიც დახარჯულია წლის განმავლობაში“<sup>7</sup>. მეორე წლიური პროდუქტი, როგორც გადატანილი და ახლად შექმნილი ღირებულებათა ერთობლივი ჯამი. „...მთლიანი ამონაგების ანუ ბრუტო პროდუქტის ღირებულება უდრის წარმოებაში ავანსებული და მოხმარებული მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას პლუს ზედმეტი ღირებულება...“<sup>8</sup>.

ამრიგად, წარმოების ფაქტორების მარქსისტული კონცეფცია მდგომარეობს იმაში, რომ წლიური საზოგადოებრივი პროდუქტის, როგორც სახმარი ღირებულების მოცულობა დამოკიდებულია მის შექმნაში მონაწილე საწარმოო ფაქტორების სიდიდეზე. კერძოდ, გამოყენებული წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის მოცულობაზე, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონეზე, მუშაკთა კვალიფიკაციის დონესა და სხვა ფაქტორებზე.

სწორედ ზემოაღნიშნული მარქსისტული დებულებები წარმოადგენენ იმ თეორიულ წანამძღვრებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ეკონომიკურ ანალიზსა და პროგნოზირებაში მრავალფაქტორული მოდელების გამოყენებას.

მრავალფაქტორული მოდელის ერთ-ერთი სახეა საწარმოო ფუნქცია, რომლის ზოგადი სახე შეიძლება ჩაწერილ იქნას შემდეგნაირად:

$$y = f(x_1, x_2, \dots, x_n) \tag{1}$$

სადაც, y-წარმოების შედეგია,

$x_1, x_2, \dots, x_n$  — სხვადასხვა სახის საწარმოო რესურსების დანახარჯებია.

საწარმოო ფუნქციების პრაქტიკული გამოყენება მოითხოვს მისი ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრას, რომლებიც განაპირობებულია საწარ-

5. მარქსი კ., კაპიტალი, ტ. I, 1953, გვ. 763.  
 6. მარქსი კ., კაპიტალი, ტ. I, 1953, გვ. 763.  
 7. მარქსი კ., კაპიტალი, ტ. II, 1953, გვ. 424.  
 8. მარქსი კ., კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, 1953, გვ. 474.

მობის შედეგებსა და საწარმოო რესურსების დანახარჯებს შორის სხვადასხვა სახის კავშირთიერთობის არსებობით.

წარმოების შედეგებზე საწარმოო რესურსების ზემოქმედების ინტენსივობის შეფასებისათვის გამოიყენება რესურსების ელასტიურობის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენი პროცენტით შეიცვლება პროდუქციის წარმოების მოცულობა შესაბამისი საწარმოო რესურსების ერთი პროცენტით გადიდების ან შემცირების შემთხვევაში. იგი გაიანგარიშება ფორმულით:

$$c_i = - \frac{\partial y}{\partial x_i} \cdot \frac{x_i}{y} \quad (2)$$

საწარმოო რესურსების ურთიერთშენაცვლების რაოდენობრივი დახასიათებისათვის გამოიყენება შენაცვლების ზღვრული ნორმა, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი მათემატიკური დამოკიდებულებით:

$$\gamma = \frac{dx_i}{dx_j} = \frac{\partial y}{\partial x_i} : \frac{\partial y}{\partial x_j} \quad (3)$$

ე. ი. პროდუქციის ერთი და იგივე მოცულობა შეიძლება წარმოებული იქნას *i* და *j* რესურსების სხვადასხვა კომბინაციური შეერთებით (ანუ სხვადასხვა ტექნოლოგიური რეჟიმის პირობებში). აღნიშნული მაჩვენებლის გამოყენება ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია ზომის ერთეულის შერჩევაზე, რაც მეტწილად დამახინჯებულ შედეგს იძლევა. ამიტომ შენაცვლების ზღვრულ ნორმასთან ერთად საჭირო ხდება შენაცვლების ელასტიურობის კოეფიციენტის გამოყენება *i*-რი რესურსისა *j*-რი რესურსის მიმართ.

$$\sigma_{ij} = \frac{d \left( \frac{x_i}{x_j} \right) \cdot \frac{dx_i}{dx_j}}{d \left( \frac{dx_i}{dx_j} \right) \cdot \frac{x_i}{x_j}} \quad (4)$$

შენაცვლების ელასტიურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რამდენი პროცენტით უნდა შეიცვალოს *i*-რი რესურსის შეფარდება *j*-ურ რესურსთან, რომ შენაცვლების ზღვრული ნორმა ერთი პროცენტით შეიცვალოს.

ელასტიურობის კოეფიციენტზე დამოკიდებულებით საწარმოო ფუნქციები იყოფა ორ ჯგუფად: პირველი, საწარმოო ფუნქციები ელასტიურობის მუდმივი კოეფიციენტით (CES) და მეორე, საწარმოო ფუნქციები ელასტიურობის ცვალებადი კოეფიციენტით (VES). ეკონომიკურ გამოკვლევებში ყველაზე დიდი გავრცელება ჰპოვა საწარმოო ფუნქციებმა ელასტიურობის მუდმივი კოეფიციენტით.

საწარმოო ფუნქციების ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ სახეს წარმოადგენს წრფივი საწარმოო ფუნქცია:

$$y = \alpha_0 + \sum_{i=1}^n \alpha_i x_i \quad (5)$$

სადაც,  $y$  — წარმოებული პროდუქციის მოცულობა;

$x_i$  — საწარმოო რესურსების დანახარჯები;

$\alpha_0, \alpha_i (i=1, 2, \dots, n)$  — ფუნქციის პარამეტრია.

მე-(5) ფუნქციის ელასტიურობის კოეფიციენტი  $\sigma_{ij} = \infty$ , რაც ნიშნავს, რომ რესურსებს შეუძლიათ ურთიერთშენაცვლება ნებისმიერი პროპორციით ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ამ თვისების გამო წრფივი საწარმოო ფუნქცია ნაკლებ გამოსადეგია ეკონომიკური განვითარების ანალიზისა და პროგნოზირებისათვის.

საწარმოო ფუნქციების შედარებით სრულყოფილ ფორმას წარმოადგენს კობა-დუგლასის ტიპის ფუნქცია ელასტიურობის მუდმივი კოეფიციენტით:

$$Y = \alpha^0 K^{\alpha_1} L^{\alpha_2} \quad (6)$$

სადაც,  $Y$  — პროდუქციის მოცულობა;

$K$  — კაპიტალი;

$L$  — შრომითი რესურსები;

$\alpha_0, \alpha_1, \alpha_2$  — პარამეტრებია.

რესურსების შენაცვლების ელასტიურობის კოეფიციენტი ერთის ტოლია ანუ  $\sigma_{ij} = 1$ .

ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ეკონომიკური სისტემა ხასიათდება შენაცვლების ელასტიურობის სხვადასხვა კოეფიციენტით, დაედო საფუძვლად ახალი საწარმოო ფუნქციის შემუშავებას, რომელსაც ორი ცვლადის შემთხვევაში აქვს შემდეგი სახე:

$$Y = \gamma [\delta(K)^{-\alpha} + (1-\delta)(L)^{-\alpha}]^{-\frac{1}{\alpha}} \quad (7)$$

სადაც,  $Y$  — პროდუქციის მოცულობა;  $K$  — კაპიტალი;  $L$  — შრომითი რესურსები; ხოლო  $\gamma, \delta$  და  $\alpha$  — პარამეტრები. რესურსების შენაცვლების ელასტიურობის კოეფიციენტი ტოლია  $\sigma = \frac{1}{1+\alpha}$ . მე-(7) ფუნქცია ფაქტიურად

წარმოადგენს ზემოთ განხილული საწარმოო ფუნქციების განზოგადობას. კერძოდ,  $\alpha$  — პარამეტრის განსაზღვრული მნიშვნელობებისათვის ის ლებულობს ადრე განხილული საწარმოო ფუნქციების სახეს. მაგ. თუ  $\alpha = -1$ , მაშინ იგი რწფივი საწარმოო ფუნქციის სახეს იღებს, ხოლო თუ  $\alpha = 0$ , მაშინ ის ლებულობს კობა-დუგლასის ფუნქციის სახეს. მაშასადამე, მე (5) და მე (6) ფუნქციები წარმოადგენენ მე (7) ფუნქციის კერძო შემთხვევებს.

საწარმოო რესურსების ურთიერთშენაცვლების შესაძლებლობების შესწავლა მჭიდრო კავშირშია საწარმოო ფუნქციებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ასახვისა და წარმოების შედეგებზე მის ზემოქმედების გათვალისწინების პრობლემასთან. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი საწარმოო ფუნქციებში გამარტივებულ თეორიულ განსაზღვრას ლებულობს: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ეწოდება ყველა იმ მოვლენათა ერთობლიობას (ტექნიკური, ორგანიზაციული, სამართავი), რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოების ზრდას იმ დონეზე მაღლა, რომელიც მიიღწევა საწარ-

მოო ფაქტორების „წმინდა“ რაოდენობრივი გადიდების საფუძველზე. ე. ი. საწარმოო ფუნქციებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი რაოდენობრივად განისაზღვრება არა მისი შინაგანი არსიდან გამომდინარე, არამედ ეკონომიკური ზრდის ტემპებზე მოქმედების ზომის ხასიათის მიხედვით.

პირველ ცდას აღნიშნული მიმართულებით წარმოადგენდა საწარმოო ფუნქციებში მესამე წევრის ჩართვა მამრავლის სახით. ყველაზე მნიშვნელოვანს ამ მიზნით წარმოადგენს  $e^{\lambda t}$  ექსპონენციალური ფუნქცია, რომელიც გამოხატავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოქმედებას წარმოების შედეგებზე. ამ შემთხვევაში მოდიფიცირებული საწარმოო ფუნქციები შემდეგი ფორმით წარმოგვიდგება:

$$Y = A \cdot K^{\alpha} L^{1-\alpha} e^{\lambda t} \tag{8}$$

და 
$$Y = \gamma e^{\lambda t} [\delta K^{-\alpha} + (1-\delta) L^{-\alpha}]^{-\frac{1}{\alpha}} \tag{9}$$

სადაც,  $\lambda$  სწორედ ის პარამეტრია, რომელიც ახასიათებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზრდის ტემპს და განისაზღვრება შესაბამისი სტატისტიკური მასალების დამუშავების საფუძველზე.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომელიც მოდელში გათვალისწინებულია ტრენდული მაჩვენებლის სახით, თანამედროვე ლიტერატურაში ცნობილია ავტონომიური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სახელწოდებით. იგი წარმოადგენს ხარისხობრივი მაჩვენებლების მოდელირების უმარტივეს მეთოდს. ასეთი წარმოდგენა ფართოდ იყო გავრცელებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოდელირების პირველ ეტაპზე (1950-1960 წწ). შემდგომ პერიოდში, როცა გაიზარდა ინტერესი გრძელვადიანი პროგნოზირების მოდელირებისადმი, სულ უფრო ნაკლებ სარწმუნო გახდა, რომ რაღაც მუდმივად მოქმედი ძალა უზრუნველყოფდა პროდუქციის გამოშვების ზრდას სამუშაო ძალისა და ძირითადი ფონდების უცვლელი სიდიდის პირობებში. ამასთანავე საწარმოო ფუნქციის პარამეტრების შეფასებით დადგინდა, რომ პროდუქციის ზრდის ტემპის  $\frac{1}{4}$ -ს განაპირობებდა საწარმოო რესურსების ზრდა,

ხოლო  $\frac{3}{4}$ -ს აღნიშნული „ავტონომიური“ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. ცხადია, რომ ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპების მიღწევა კაპიტალდაბანდებების გარეშე არარეალურია. ამრიგად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოდელირების განხილული მეთოდი ვერ უზრუნველყოფს დასახული პრობლემების სრულყოფილ გადაწყვეტას.

„ენდოგენური“ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის იდეის საფუძველია მისი მოქმედების განსაზღვრა მოდელის შიგნით სხვა ფაქტორებთან კავშირში. ეს ნიშნავს, რომ მაჩვენებლები, რომლებიც მიღებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რაოდენობრივ მახასიათებლად უშუალოდ ჩაირთვება საწარმოო ფუნქციაში არგუმენტების სახით ძირითად ფონდებსა და მუშაკთა რიცხოვნებასთან ერთად. საბჭოთა მეცნიერმა ს. ვიშნევმა შემოგვთავაზა შემდეგსახის საწარმოო ფუნქცია:<sup>9</sup>

<sup>9</sup> Вишнев С. М., Экономические параметры, М., Наука, 1968, с. 94.

$$Q = AK^\alpha L^\beta E^\gamma R^\sigma \quad (10)$$

სადაც, Q — საბოლოო საზოგადოებრივი პროდუქცია უცვლელი ფასებით; K — ძირითადი ფონდები; L — მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნება; E — დანახარჯები მუშაკთა განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; R — დანახარჯები სამეცნიერო-საკვლევ და საკონსტრუქტორო მუშაობაზე;  $\alpha, \beta, \gamma, \sigma$  პარამეტრებია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოდელირების აღნიშნული მეთოდის ვერ უზრუნველყოფს დასმული პრობლემის სრულყოფილ გადაწყვეტას სხვადასხვა მიზეზების გამო. პირველი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ფორმალურად არაა დეტალურად რაოდენობრივი ფორმით. დანახარჯები სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, მუშაკთა კვალიფიკაციისა და განათლების დონის ამაღლებაზე მკაცრად განსაზღვრული რაოდენობრივი სიდიდეებია. ამ დანახარჯებსა და წარმოების შედეგებს შორის არსებობს მთელი რიგი შუალედური რგოლები, უწინარეს ყოვლისა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის „პროდუქცია“, რომელიც სწორედ მეცნიერებსა და განათლებას ახასიათებს, როგორც წარმოების ფაქტორებს, აღნიშნულ პროდუქციას მხოლოდ ნაწილობრივ განაპირობებენ E და R ფაქტორების დანახარჯები. ამავე დროს მისი პირდაპირი გაზომვაც შეუძლებელია და არც შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია არსებობს. ამრიგად მაქსიმუმი, რაც შეიძლება მოგვეცეს მე-(10) მოდელის გამოყენებამ, ესაა პროდუქციის ნაზარდის მიახლოებითი განსაზღვრა, რომლებიც მიღებულია ხარისხობრივი ფაქტორებით. მეორე, მოდელში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაჩვენებლები ისეთივე კანონზომიერებით მოქმედებენ წარმოების შედეგებზე, როგორც ძირითადი ფონდები და შრომითი რესურსები, რაც ჩვენის აზრით არაა სწორი, რადგან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზრდა წარმოების შედეგებზე მოქმედებს არა უშუალოდ, არამედ გაშუალებულიად, ძირითადი საწარმოო ფონდებისა და შრომითი რესურსების საშუალებით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოქმედების გაზომვის მეტად საინტერესო ცდას გვთავაზობს მ. ბრაუნი. იგი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოქმედების რაოდენობრივი დახასიათებისათვის გამოიყენებს 4 მაჩვენებელს: პირველი, ტექნოლოგიის ეფექტიანობა; მეორე, ტექნოლოგიის უკუგება წარმოების მასშტაბის ერთეულზე; მესამე, კაპიტალტევადობა (ფონდშეიარაღება) და მეოთხე, ფაქტორების შენაცვლების ელასტიურობა. პირველი მაჩვენებელი განისაზღვრება თანაფარდობითი წარმოების შედეგსა და მასზე გაწეულ დანახარჯებს შორის. ტექნოლოგიის უკუგება წარმოების მასშტაბის ერთეულზე გვიჩვენებს საწარმოო ფაქტორების პროპორციული გადიდებისას თუ რა სიდიდით გაიზარდება წარმოების საშედეგო მაჩვენებელი. კაპიტალტევადობა განისაზღვრება თანაფარდობის წარმოების საშუალებებსა და შრომით რესურსებს შორის, ხოლო შენაცვლების ელასტიურობა ფაქტორთა შენაცვლების ზღვრული ნორმის დინამიკის შეფარდებით ფაქტორთა შეფარდების დინამიკთან.<sup>10</sup>

<sup>10</sup> Браун М., Теория и измерение технического прогресса, М., Статистика, 1971, с. 208.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაჩვენებელთა რაოდენობრივი გამოვლენის გამოიყენება ორი კონკრეტული სახის საწარმოო ფუნქცია, კერძოდ კობა-დუგლასის და საწარმოო ფუნქცია ელასტიურობის მუდმივი კოეფიციენტით (CES). კობა-დუგლასის ფუნქციის შემთხვევაში ტექნოლოგიის ეფექტიანობის მაჩვენებელი განისაზღვრება  $A$  პარამეტრის ცვლილებით. ტექნოლოგიის უკუგება წარმოების მასშტაბის ერთეულზე  $\alpha + \beta$  პარამეტრების ჯამით. კაპიტალტევადობა თანაფარდობის ცვლილებით  $\alpha$  და  $\beta$  პარამეტრებს შორის. მეოთხე მაჩვენებლის განსაზღვრა არ ხერხდება, რადგან ამ ფუნქციისათვის ელასტიურობის კოეფიციენტი ერთის ტოლია ( $\sigma = 1$ ). CES ფუნქციის შემთხვევაში ტექნოლოგიის ეფექტიანობა და ტექნოლოგიის უკუგება წარმოების მასშტაბის ერთეულზე შესაბამისად განისაზღვრება  $\gamma$  და  $\nu$  პარამეტრების ცვლილებით. კაპიტალტევადობა პარამეტრის ცვლილებით, ხოლო ფაქტორთა შენაცვლების ელასტიურობის განსაზღვრა მისი მუდმივი მნიშვნელობის გამო, ცხადია შეუძლებელია და შესაბამისად მისი გავლენა პროდუქციის ზრდის ტემპის ცვლილებაზე ნულის ტოლია. ამრიგად, კობა-დუგლასის ფუნქცია და საწარმოო ფუნქცია ელასტიურობის მუდმივი კოეფიციენტით ვერ უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაჩვენებლების (იგულისხმება ბრაუნის კლასიფიკაცია) სრულყოფილ ასახვას და შესაბამისად მათი მოქმედების გაანგარიშებას პროდუქციის ზრდის ტემპებზე.

საწარმოო ფუნქციებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გათვალისწინება მოითხოვს: 1) მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაჩვენებელთა კლასიფიკაციას, 2) საწარმოო ფუნქციებში შესაბამისი რაოდენობრივი მახასიათებლების ზუსტად განსაზღვრას და 3) არსებული სტატისტიკური საინფორმაციო მასალებით უზრუნველყოფას.

საწარმოო ფუნქციებში ხარისხობრივი ფაქტორების ასახვის ჩვენს მიერ წამოყენებული დებულების არსი მდგომარეობს იმაში, რომ დავაკავშიროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ძირითად საწარმოო ფონდებთან, ხოლო ვანათლებისა და კვალიფიკაციის დონე—შრომით რესურსებთან. ცნობილია, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოქმედება საბოლოო ანგარიშში ასახვას პოვებს სრულყოფილ წარმოების საშუალებებში, მაღალკვალიფიციურ საწარმოო პერსონალსა და მოწინავე წარმოების ორგანიზაციაში, აღნიშნულის გათვალისწინებით საწარმოო ფუნქციის მოდიფიცირებული ფორმა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად:

$$Y = A \cdot K^{\frac{1}{m}} \ln K \cdot L^{\frac{1}{n}} \ln L \quad (11)$$

მე-11 ფორმულაში ყველა ცვლადი ცნობილია გარდა  $m$  და  $n$  პარამეტრებისა.  $m$ -აღნიშნავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპს და განსაზღვრავს დროის იმ პერიოდს, რომლის შემდეგ აუცილებელია შრომის იარაღებისა და ტექნოლოგიური პროცესების განახლება ახალი ტექნიკის ბაზაზე.  $n$  — ვანათლების, კვალიფიკაციის დონეს და ახასიათებს დროის იმ პერიოდს, რომლის შემდეგაც აუცილებელი ხდება მუშაკთა კვალიფიკაციის ხელახალი ამადლება.  $m$  და  $n$  პარამეტრები განისაზღვრება წარსული პერიოდის სტატისტიკური მასალების დამუშავების საფუძველზე (შეიძლება გამოვიყენოთ საექსპერტო შეფასების მასალები).

რესურსების შენაცვლების ელასტიურობის კოეფიციენტი ცვალებადა სიდიდეა და დამოკიდებულია საწარმოო რესურსებსა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე, რომელიც გაიანგარიშება ფორმულით:

$$\sigma = \frac{1}{2 - \left[ \frac{L \left( \frac{\ln L}{nL} \right)^2 + K \left( \frac{\ln K}{mK} \right)^2}{\ln KL \left( \frac{\ln L}{nL} \right)^2 + \ln LK \left( \frac{\ln K}{mL} \right)^2} \right]} \quad (12)$$

მე-(11) ფუნქციისათვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაჩვენებლები ბრაუნის კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად შეიძლება იქნას დახასიათებული: ტექნოლოგიის ეფექტიანობა განისაზღვრება A პარამეტრის ცვლილებით, ტექნოლოგიის უკუგება წარმოების მასშტაბის ერთეულზე გაიანგარიშება რესურსების ელასტიურობის კოეფიციენტის ჯამით ( $C_K + C_L$ ) თუ  $C_K + C_L > 1$ , მაშინ ადგილი აქვს საწარმოო დანახარჯების ეკონომიას, თუ  $C_K + C_L = 1$  ტექნოლოგიის უკუგების დონე წარმოების მასშტაბის ერთეულზე ნეიტრალური სიდიდეა, ხოლო თუ  $C_K + C_L < 1$ , მაშინ ადგილი აქვს საწარმოო რესურსების გადახარჯვას, ე. ი. ტექნოლოგიური პროცესი დაბალეფექტიანია. ფონდშიარაღების გავლენა პროდუქციის ზრდის ტემპზე განისაზღვრება თანაფარდობის ცვლილებით  $C_K$  და  $C_L$  კოეფიციენტებს შორის. თუ თანაფარდობა იცვლება  $C_K$  კოეფიციენტის სასარგებლოდ, მაშინ ადგილი აქვს ფონდდამზოგველ ტექნიკურ პროგრესს; ხოლო თუ პირიქითაა — ფონდტევადს.

პროდუქციის ზრდის ტემპზე ფაქტორთა შენაცვლების ელასტიურობის კოეფიციენტის ( $\sigma$ ) ცვლილების ზომის განსაზღვრისათვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ რომელი ფაქტორი იზრდება უფრო სწრაფად: ძირითადი ფონდები თუ შრომითი რესურსები. თუ ადგილი აქვს შრომითი რესურსების წინმსწრება ტემპით ზრდას, მაშინ შენაცვლების ელასტიურობის კოეფიციენტის გაზრდა გამოიწვევს ძირითადი ფონდების ზღვრული პროდუქციის შეფარდებით შემცირებას შრომითი რესურსების ზღვრული პროდუქციის მიმართ, ე. ი. ადგილი აქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შრომატევად ფორმას. მაგრამ, თუ ძირითადი ფონდები იზრდება უფრო სწრაფი ტემპით, მაშინ ადგილი აქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფონდტევად ფორმას. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ელასტიურობის კოეფიციენტების ზრდა ყოველთვის იწვევს პროდუქციის გამოშვების ტემპის ზრდას, ამასთან განსაკუთრებით მაშინ, როცა ძირითადი ფონდების ზრდის ტემპი წინ უსწრებს შრომითი რესურსების ზრდის ტემპს.

ამრიგად, მე-(11) საწარმოო ფუნქციაში სხვა საწარმოო ფუნქციებთან შედარებით უკეთესად გამოიხატება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაჩვენებლები და შედარებით ზუსტად განისაზღვრება მათი მოქმედება პროდუქციის ზრდის ტემპებზე. ამავე დროს ის უზრუნველყოფილია შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციით და შეიძლება გამოყენებული იქნას ეკონომიკური განვითარების ანალიზისა და პროგნოზირებისათვის. საჭიროა აქვე აღინიშნოს, როგორც მე-(11) საწარმოო ფუნქციაში ასე კობა-დუგლასისა და საწარმოო

ფუნქციაში ელასტიურობის მუდმივი კოეფიციენტი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი წარმოადგენდა წინასწარ მოცემულ სიდიდეს, რომელიც განისაზღვრებოდა რეტროსპექტული პერიოდის სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე, ე. .ი როგორც ძირითადი ფონდების ისე მუშაკთა კვალიფიკაციის ხარისხი წინასწარ „კონსტრუირებადია“ და ამ ფორმით გამოიყენება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოქმედების რაოდენობრივი შეფასებისათვის პერსპექტიულ პერიოდში. მაგრამ, პერსპექტივაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი გვევლინება არა მხოლოდ განვითარების მიზეზი, არამედ ამ განვითარების შედეგიც. ამიტომ ლოგიკურად მიგვაჩნია დავეუკავმიროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ეკონომიკური განვითარების ტემპებს. მეცნიერულ-ტექნიკურ ლიტერატურაში აღნიშნული მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესი ცნობილია „ინდუცირებული“ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სახელწოდებით. მომავალში საჭიროა ამ მიმართულებით ეკონომიკურ-მათემატიკური გამოკვლევების შემდგომი გაძლიერება.

Я. Е. МЕСХИЯ, Н. Б. ХУЧУА

ТЕОРЕТИКО-МЕТОДОЛОГИЧЕСКИЕ ПРЕДПОСЫЛКИ  
МНОГОФАКТОРНОГО МОДЕЛИРОВАНИЯ  
ЭКОНОМИЧЕСКОГО АНАЛИЗА  
И ПРОГНОЗИРОВАНИЯ

Резюме

На основе изучения основных характеристик многофакторных моделей проанализированы наиболее широко применяемые на практике многофакторные модели: линейная производственная функция, функция Кобба-Дугласа и производственная функция с постоянным коэффициентом эластичности. При этом определены возможности учета воздействия научно-технического прогресса на развитие отрасли, в частности, таких его типов, как: автономный, овеществленный, эндогенный, нейтральный, ненейтральный и т.д. На основе проведенного анализа апробированных производственных функций обосновано, что они не позволяют в полной мере отразить влияние научно-технического прогресса на развитие отрасли и вследствие этого рассчитать достоверные прогнозные параметры на долгосрочный период.

Описана новая многофакторная модель с переменным коэффициентом эластичности, которая достаточно полно отражает воздействие научно-технического прогресса на конечные показатели производства. Показана целесообразность применения этой модели для анализа и прогнозирования основных синтетических показателей развития экономики союзной республики.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის კლავწარმოებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის განყოფილებაში.

თაბაჯ ჯოლოსავა

არაეკონომიკური დრო, როგორც არამატერიალური (სულიერი) ურთიერთობათა არსებობისა და განვითარების ობიექტური ფორმა.

სოციალური დროის შემადგენელ ელემენტთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია არაეკონომიკურ დროს, როგორც არაეკონომიკურ, სულიერ, იდეალურ ურთიერთობათა არსებობის ობიექტურ ფორმას. ის მოიცავს ინდივიდისა და საზოგადოების მთელ სულიერ სამყაროს, საზოგადოების ფსიქოლოგიას და იდეოლოგიას. ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ურთიერთობათა ურთიერთდამოკიდებულების საკითხი მისი მოჩვენებითი სიმართლის მიუხედავად, ერთ-ერთ ყველაზე რთულ საკითხად ითვლება ეკონომიკურ მეცნიერებაში (ამიტომ ჩვენ არაეკონომიკურ დროზე ვერ ვისაუბრებთ მანამ, სანამ არ გაირკვევა ამ ურთიერთობის საკითხი). სირთულე მართლაც ის როდია, ესა თუ ის ურთიერთობა ეკონომიკურია თუ არა, არამედ პოლიტიკონომისტთა ერთი ნაწილის აპორიულ მსჯელობაში: როგორ, თუკი ესა თუ ის ურთიერთობა არაეკონომიკურია, მაშინ რატომ ხდება რომ მას შეისწავლის პოლიტიკური ეკონომია — მეცნიერება წარმოებით ურთიერთობათა შესახებ? ეკონომისტთა ამ ნაწილისათვის გამოსავალი ამ დილემიდან ერთია — სულიერი (არაეკონომიკური) ეკონომიკურია. ამიტომ ისინი ცდილობენ მათ მიერ წარმოებულ კვლევას დაუმორჩილონ ურთიერთობები და არა ურთიერთობებს — მათი კვლევა, აქედან გამომდინარე ძალაუფლებურად განსაზღვრავენ ადამიანის მთელ ცხოველმოქმედებას, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობას და არა როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობას, საზოგადოებრივ არსებას. ასეთმა მეტისმეტმა პოლიტიკონომიურმა მიდგომამ დაამახინჯა თეორია. საკმარისია თვალი გადავავლოთ ეკონომიკურ ლიტერატურას, რომ დავრწმუნდეთ ამ სიტყვების სიმართლეში. მეცნიერთა ერთი ნაწილი აიგივებს არამატერიალურს მატერიალურთან (ეკონომიკურთან) და ცდილობს ამით ახსნას პოლიტიკური ეკონომიის მიერ არამატერიალური ურთიერთობების შესწავლა<sup>2</sup>. ისინი, მარ-

<sup>1</sup> ერთი ნაწილის, რადგან მეორე ნაწილი არამატერიალურ ურთიერთობებს მიაკუთვნებს ზედნაშენის სფეროს Малахынов П. И. О сферах деятельности и проблем производительного труда при социализме, Улан-Удэ, 1975 г. с. 217; Кронрод Я. А. Актуальные проблемы исследования экономического базиса, «Вопросы философии», № 12, 1979 г. с. 25.

<sup>2</sup> Глязер Л. С. Некоторые вопросы планирования общественных фондов потребления М. 1966 г; Медведев В. А. Общественное воспроизводство и сфера услуг, М., 1968 г. Струмилин С. Народный доход в СССР, „Плановое хозяйство“, № 8, 1926 г. и др.

თალია, ხმარობენ ტერმინებს „მატერიალურს“ და „არამატერიალურს“, მაგრამ იმდენად გაუიგივეს პირველს მეორე, რომ თვალსა და ხელს შუა გაუქრათ მათ შორის არსებული განსხვავება და ამით ფაქტიურად უარყვეს არამატერიალური და ნებით თუ უნებლიედ დაემშენნენ ვულგარული მატერიალიზმის პოზიციებზე, რომელსაც იდეალური დაჰყავს მატერიალურზე. ასე მაგ., ვ. მედვედევი წერს, რომ: „არ შეიძლება დაუპირისპიროთ მატერიალური წარმოება მომსახურების სფეროს, მატერიალური მოთხოვნილებები სულიერ მოთხოვნილობებს და წარმოვიდგინოთ საქმე ისე თითქოს ვიდრე მომსახურების წარმოებას შეუდგებოდნენ, ადამიანებმა უნდა იცხოვრონ, დაიკმაყოფილონ თავიანთი მატერიალური მოთხოვნილებანი“<sup>3</sup>. მოცემული დებულებიდან გამომდინარეობს: 1. მატერიალური წარმოება და მოთხოვნილებები არ უპირისპირდებიან სულიერ მოთხოვნილებებს და მომსახურების სფეროს 1. ცნობილია რომ, დაპირისპირებაზე მხოლოდ მაშინ ლაპარაკობენ, როდესაც ერთი არსებითად განსხვავდება მეორისაგან. მათ შორის განსხვავების არ არსებობა (როგორც მოცემულია ავტორის დებულებაში) მათს იგივეობაზე მიუთითებს; 2. რომ, მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სრულიად არ განსაზღვრავს მომსახურების წარმოებას, რადგან ისინი ავტორის პოზიციიდან გამომდინარე ერთი და იგივეს წარმოადგენენ. ვ. ი. ლენინი აკრიტიკებდა რა დიკცენს, რომელიც მიიჩნევდა რომ „...არაგრძნობადი წარმოდგენაც გრძნობადია, მატერიალურია, ე. ი. ნამდვილია... სული ისევე ნაკლებ განსხვავდება მაგიდისაგან, როგორც ეს საგნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან“, წერდა, „აქ აშკარად უსწორობაა, რომ აზრიცა და მატერიაც „ნამდვილია“ ე. ი. არსებობენ, სწორია მაგრამ აზრის მატერიალურ რამედ დასახვა ნიშნავს შემცდარი ნაბიჯის გადადგმას მატერიალიზმისა და იდეალიზმისა შერევისაგან“<sup>4</sup>, რასაც ადვილი აქვს ზემოთ მოყვანილ მაგალითში. ეს თვალსაზრისი თავის დროზე საკმარისად იქნა გაკრიტიკებული ეკონომიკურ ლიტერატურაში ამიტომ, ჩვენ მასზე მეტად არ შეეჩერდებით.

ეკონომისტთა მეორე ნაწილი ცდილობს გამიჯნოს მატერიალური და არამატერიალური ურთიერთობები ისე, რომ პოლიტიკონომიას არ დაუკარგოს თავისი შესწავლის „ობიექტი“. მათი აზრით, წარმოებითი ურთიერთობებზე მატერიალური წარმოების ურთიერთობების განსაზღვრაა, ხოლო ეკონომიკური მოიცავს ნაწილობრივ არამატერიალურ წარმოებითს, არამედ არამატერიალურსაც. ამასთან დაკავშირებით პოლიტიკური ეკონომიის კურსის ავტორები შენიშნავენ რომ: „წარმოებითი ურთიერთობები არ წარმოიშობა არასაწარმოო სფეროში. მასში ყალიბდება არასაწარმოო ხასიათის ეკონომიკური ურთიერთობები“.<sup>5</sup> თუ რატომია ეს ეკონომიკური და ის წარმოებითი, რა განსხვავებაა მათ შორის ეს ბოლომდე გაუგებარია. მასზე არაფერი არაა ნათქვამი წიგნში. კიდევ უფრო ბუნდოვანია ეს თვალსაზრისი ნ. კოლე-სოვთან, რომელიც მიზნად ისახავს გამოიკვლიოს წარმოებითი და ეკონომიკური ურთიერთობების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. ავტორის

<sup>3</sup> Медведев В. А. Общественное воспроизводство и сфера услуг, М., 1968 г. с. 156.

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., 1950 წ., გვ. 307.

<sup>5</sup> Курс политической экономии (Под ред. Н. А. Цагалова), М. 1973 г. Т. 1, с. 56.

აზრით: „იმ შემთხვევაში, როდესაც მატერიალური დოვლათის მოძრაობა გადის წარმოების ფარგლებს გარეთ, ამ სიტყვის ფართო გაგებით, და ხორციელდება არასაწარმოო სფეროში (განათლება, ჯანდაცვა, ხელოვნება, კულტურა და ა. შ.) ურთიერთობები ეკონომიკურია, მაგრამ არა წარმოებითი“<sup>6</sup>. ისმის კითხვა რა მიაჩნია ავტორს ეკონომიკურ ურთიერთობებად? როგორც ნ. კოლესოვი შენიშნავს „ეკონომიკური ურთიერთობების ქვეშ გაიგება წარმოებითი ურთიერთობების ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია მატერიალური დოვლათის, როგორც საკუთრების პროდუქტების მოძრაობასთან“<sup>7</sup>. ამასთან როგორც ავტორი შენიშნავს, „წარმოებითი ურთიერთობების განსაზღვრული ნაწილი მუდამ გამოდის როგორც ეკონომიკური ურთიერთობა. ამიტომ არ შეიძლება მოვწყვიტოთ ეკონომიკური ურთიერთობა წარმოებითს, რადგან ასეთ შემთხვევაში წარმოებითი ურთიერთობები არ შეადგენს საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს“<sup>8</sup>. აქედან გამომდინარეობს: 1. მატერიალური წარმოების გარეთ არსებული ურთიერთობები არაწარმოებითი, ეკონომიკურია. მაშინ ძალუწებულად დგება საკითხი ამ არაწარმოებითი, ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათის შესახებ. თუ რით განსხვავდება ეს ეკონომიკური, რომელიც არაა წარმოებითი, საკუთრივ წარმოებითისაგან? ამ საკითხს ავტორი, მონდომების მიუხედავად, ჩვენის აზრით, ვერ ხსნის 2. რადგან, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების განსაზღვრებიდან ვგებულობთ, იგი წარმოებითი ურთიერთობების მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი ყოფილა. ნ. კოლესოვი ცდილობს არ მოწყვიტოს ეს ურთიერთობები ერთმანეთს, რადგან მისივე განცხადებით ეს გამოიწვევდა იმას, რომ წარმოებითი ურთიერთობები აღარ იქნებოდა საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა, ბაზისი. მაგრამ ეკონომიკური მასთან არა მხოლოდ წარმოებითია, არამედ არაწარმოებითიცაა (ე. ი. ეკონომიკური სტრუქტურა, ბაზისი მასთან ბევრად უფრო ფართოა) და აქედან გამომდინარე, შეუძლებელია წარმოებითმა ურთიერთობებმა შეადგინოს ავტორის კეთილი ნების მიუხედავად, ეკონომიკური სტრუქტურა. მისთვის ცნობილია კ. მარქსის დებულება რომ „წარმოებითი ურთიერთობების ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს“<sup>9</sup>, ცდილობს თანხმობაში იყოს კ. მარქსთან, მაგრამ მაინც ვერ აღწევს თავს წინააღმდეგობას. ავტორთა ცთომილებების საფუძველი ჩვენის აზრით მათს მეთოდოლოგიაში უნდა ვეძიოთ. რატომ არის მათი შეხედულება მცდარი? თუნდაც იმიტომ, რომ მათთან წარმოებითი წარმოგვიდგება როგორც თვითკმარი, მატერიალურ წარმოებაში ჩაკეტილი, მეტაფიზიკური კატეგორია, ხოლო ის რაც არაწარმოებითშია (არამატერიალურშია) მათთვის ეკონომიკურია და წარმოებითს გამოირიცხავს; სულ რომ არაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ არამატერიალურის ეკონომიკურ ურთიერთობებად მიჩნევა საფუძველშივე მცდარია. ის, რომ იდეალურში, არსებობს ეკონომიკურის იგივეობრივი ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური და სულიერი ურთიერთობები ერთიანის — საზოგადოებრივი ურთიერთობების ორი წინააღ-

<sup>6</sup> Колесов Н. Д. Закон соответствия производительных сил и производственных отношений при социализме Л. 1973 г. с. 40.  
<sup>7</sup> Там же, с. 37.  
<sup>8</sup> Там же, с. 40.  
<sup>9</sup> კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953., გვ. 10.  
 2. „მაცნე“, ეკონომიკისა და საპარტლის სერია, 1988, № 1

საქ. სსრ კ. მარქს  
 სახ. სახ. რესპუბ.  
 ბიბლიოთეკა

მდეგობრივი ურთიერთგამომრიცხველი მხარეა, რომელშიაც ადგილი აქვს საწინააღმდეგო მხარეების თანამთხვევას. არამატერიალურში (არაეკონომიკურში) უდავოა ადგილი აქვს ეკონომიკურ ურთიერთობებს, თუნდაც იმიტომ, რომ ეს მატერიალური, იდეალურშია გადატანილი და გარდაქმნილი ე. ი. იდეალურია. ასე მაგ., ისევე როგორც ადამიანში 70% წყალია, აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს რომ ის წყალია. იგი უფრო მეტია ვიდრე უბრალოდ წყალი. წყალი ადამიანში შედის მაგრამ იგი მის თვისობრიობას არ ქმნის და იმიტომ ის მასზე არ დაიყვანება. სწორედ, ასევე მატერიალური შედის არამატერიალურში, მაგრამ მის თვისობრიობას არ ქმნის, ე. ი. არამატერიალური არ დაიყვანება ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

განსხვავებული პოზიცია უკავია ეკონომისტთა მესამე ნაწილს, რომელიც არ იზიარებს თვალსაზრისს ეკონომიკურისა და წარმოებითი ურთიერთობების განსხვავების შესახებ; მათი აზრით, მატერიალური წარმოების ფარგლებს გარეთ არსებული არამატერიალური ეკონომიკური, წარმოებითი ურთიერთობების გამომატველია. ამასთან ანსხვავებენ მატერიალური წარმოების ეკონომიკურ ურთიერთობებს არამატერიალური წარმოების ეკონომიკური ურთიერთობებისაგან, როგორც მსაზღვრელს საზღვრულისაგან. ისინი ფიქრობენ რომ არამატერიალურ სფეროში ადგილი აქვს სულიერი პროცესების, იდეების წარმოებას. სულიერი ურთიერთობები კი ზედნაშენური ურთიერთობებია. მაშინ მათ წინაშე დგება დილემა: თუ არამატერიალური სფერო ზედნაშენური ურთიერთობაა, მაშინ როგორ ავსნათ რომ მას შეისწავლის პოლიტიკური ეკონომია? საქმე სახელდახელოდ გვარდება: ისინი არამატერიალურს უწოდებენ წარმოებითს, რომელიც მათთვის უფრო სხვანაირი წარმოებითია, მაგრამ მინც წარმოებითია. იმიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, როგორც წარმოებითი ურთიერთობებით გატაცების ლოგიკური შედეგი, როცა ზედნაშენი, იდეალური, ამ გავებით არაეკონომიკური ურთიერთობების სფერო, მათ მიერ განიძარცვება ზედნაშენური ურთიერთობებისაგან და გადაიქცევა წარმოებით ურთიერთობებად, ხოლო თვით ზედნაშენისაგან, იდეალური ურთიერთობებისაგან რჩება მხოლოდ დიდი-დიდი ფუნქცია<sup>10</sup>. ამგვარად იშლება ზღვრული ბაზისსა და ზედნაშენს შორის. რას ემყარება არაუმენტაცია რის საფუძველზეც ეკონომისტები არამატერიალურ ურთიერთობებს რთავენ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში. ეკონომისტთა ერთი ნაწილი მაგ., რ. ასათიანი მიიჩნევს, რომ არასაწარმოებითი სფერო შედის წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში<sup>11</sup>, იმიტომ რომ სოციალისტური აღწარმოების პრობლემებს ვერ შევისწავლით არაწარმოებითი სფეროს გარეშე<sup>12</sup>. ეს თვალსაზრისი მატერიალური სფეროს ეკონომიკური ხასიათის დასაბუთებას ცდილობს იმ მნიშვნელობის საფუძველზე, რაც ამ სფეროს გააჩნია საკუთრივ აღწარმოების მიმართ. არ შეიძლება გავიზიაროთ ავტორის პოციზია, რადგან ცნობიერებაც არ არსებობს მატერიის გარეშე (მის გარეშე ვერ გავიგებთ მატერიას), მაგრამ ეს არ ნიშ-

<sup>10</sup> Солодков М. В. Непроизводственная сфера при социализме. М., 1978 г. с. 25.  
<sup>11</sup> ეკონომისტი № 8, 1984 წ., გვ. 42—43.  
<sup>12</sup> ეკონომისტი, № 10, 1976 წ., გვ. 38.

საქმის გარეშე  
 დიდი-დიდი  
 სისტემაში

ნავს იმას, რომ ცნობიერება მატერიალურია. ერთადერთი რაშიც შეიძლება დავეთანხმოთ ავტორს ეს არის ის, რომ, მართლაც, სოციალისტური აღწარმოების პრობლემებს ვერ შევისწავლით არამატერიალური სფეროს გარეშე. მაგრამ როგორ უნდა იქნას გაგებულია სოციალისტური აღწარმოება როგორც საყოველთაობა? აღწარმოება ამა თუ იმ საზოგადოებაში, მაშასადამე საზოგადოებრივად განსაზღვრული აღწარმოება, ასევე აღწარმოება მის საყოველთაობაში წარმოგვიდგება ორი სახით: მატერიალურ საარსებო საშუალებათა აღწარმოება და არამატერიალური პროცესების აღწარმოება. რას შეისწავლის პოლიტიკური ეკონომია? პოლიტიკური ეკონომია შეისწავლის საზოგადოების ეკონომიკურ წყობას. პოლიტიკური ეკონომიის საგნის განსაზღვრებას ჩვენ ვხვდებით ფ. ენგელსის ნაშრომში „ანტი-დიურინგი“ (რომელიც მოიწონა კ. მარქსმა): „პოლიტიკური ეკონომია, წერს ფ. ენგელსი — ყველაზე ფართო გაგებით, არის მეცნიერება იმ კანონების შესახებ, რომლებიც განაგებენ მატერიალურ საარსებო საშუალებათა წარმოებასა და გაცვლას ადამიანთა საზოგადოებაში“<sup>13</sup>, ან თუნდაც „ეკონომიკური ურთიერთობებში, რომელთაც ჩვენ საზოგადოების ისტორიის განმსაზღვრელ ბაზისად ვთვლით, ვგულისხმობთ იმ წესს, რომლითაც გარკვეული საზოგადოების ადამიანები თავიანთ საარსებო საშუალებებს აწარმოებენ და ერთმანეთს შორის პროდუქტებს ცვლიან“<sup>14</sup>. ამრიგად პოლიტიკური ეკონომია შეისწავლის მატერიალურ საარსებო საშუალებათა წარმოებას, ანუ ბაზის ეკონომიკურ ურთიერთობებს, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ეკონომისტთა შეხედულებების არამართებულობას, რომლებიც აცხადებენ, რომ კლასიკოსებს არ ჰქონდათ დამუშავებული ეკონომიკური ურთიერთობების, როგორც პოლიტიკური ეკონომიის საგნის პრობლემა. და მათი კვლევა შემოისაზღვრებოდა მხოლოდ მატერიალური წარმოებით, აქაოდა არამატერიალური სფერო ავიწყდებოდათ. რაც მათ სრულიად არ უშლით ხელს კ. მარქსს გააწვევინონ პროპაგანდა თავიანთი თეორიის სასარგებლოდ. აცხადებენ კ. მარქსი მატერიალური წარმოების გვერდით გამოყოფდა სულიერ წარმოებას და ასკვნიან აქაც წარმოება და იქაც წარმოება, ე. ი. კ. მარქსს საზოგადოებრივი წარმოება ფართოდ ესმოდა, ამიტომ მას შეისწავლის პოლიტიკური ეკონომიით<sup>15</sup>. კ. მარქსი ბუნებრივ წარმოებაზეც ლაპარაკობდა, გამოდის ესეც ეკონომიკური ურთიერთობა ყოფილა და შესაბამისად, პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის საგანი. მას შემდეგ, რაც გავარკვეით ეკონომიკური ურთიერთობები, საჭირო ხდება იდეალური, არაეკონომიკური ურთიერთობების გარკვევა. რა არის არაეკონომიკური, იდეალური ურთიერთობები? ამის განმარტებას ჩვენ ვხვდებით ვ. ი. ლენინთან: იდეალური ურთიერთობები ესაა ისეთი ურთიერთობები, რომლებიც თავიანთ ჩამოყალიბებამდე ადამიანის ცნობიერებაში გაივლიან.

კ. მარქსი  
კ. მარქსი

<sup>13</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952 წ., გვ. 173.

<sup>14</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. 2, თბ., 1964 წ., გვ. 617-618.

<sup>15</sup> Закирова С. О характере экономических отношений вне материального производства, „Экономические науки“, 1986 г. с. 35.

როგორც შეცნობილი საზოგადოებრივი ურთიერთობები<sup>16</sup>. არაეკონომიკურა ანუ იდეალური ურთიერთობები, როგორც მატერიალური ისე არამატერიალური ე. ი. მთლიანად საზოგადოებრივი ურთიერთობების გაცნობიერება არსებული ცოდნის, გრძნობების, აზრების, ზრახვების, იდეალურ მისწრაფებათა სახით, განსხვავდებიან მატერიალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათაგან, რომელნიც ისე ყალიბდებიან, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებაში არ გაივლიან; პროდუქტების გაცვლა-გამოცვლის დროს ადამიანები შედიან წარმოებითს ურთიერთობაში, ისე რომ არც კი აქვთ შეგნებული რომ აქ საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობაა<sup>17</sup>. ამრიგად, ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ურთიერთობებს შორის არსებობს სხვაობა, მაგრამ არ არსებობს ჩინური კედელი. ეკონომიკური და არაეკონომიკური ურთიერთობები როგორც ერთიანი საზოგადოებრივი ურთიერთობების წინააღმდეგობრივი, ურთიერთგამომრიცხველი მხარეები დიალექტიკურ ურთიერთკავშირში იმყოფებიან, ერთიმეორეს განაპირობებენ, ურთიერთქმედებენ და ამ ურთიერთქმედებისას თვითონაც გარდაიქმნებიან; ამასთან ის რომ, ადგენენ და ანვიტარებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, როგორც ერთიანს. მამსადამე, არამატერიალური ურთიერთობები ზემოქმედებენ მატერიალურ კვლავწარმოებაზე, მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ არამატერიალური ეკონომიკური ურთიერთობაა. ერთია ის, რაც ზემოქმედებს და ეს — არაეკონომიკური ურთიერთობაა და მეორე ის, რაზედაც ზემოქმედებენ — ეს ეკონომიკური ურთიერთობაა. შეისწავლის თუ არა პოლიტიკური ეკონომია არაეკონომიკურ ურთიერთობებს? გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას რომ ის მას შეისწავლის. რატომ გარკვეული აზრით? იმიტომ რომ მას არამატერიალური ურთიერთობები აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ისინი ხელს უწყობენ ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას და რამდენადაც მასში ვლინდებიან ეკონომიკური ურთიერთობები. ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ პოლიტიკური ეკონომია ესაა მეცნიერება წარმოებითი ურთიერთობების შესახებ, რომელიც მუდამ შეისწავლება საწარმოო ძალებთან ურთიერთკავშირში, რადგან საწარმოო ძალები შინაარსია, ხოლო წარმოებითი ურთიერთობები ფორმა; ფორმა კი, ყოველთვის განიხილება შინაარსთან ურთიერთკავშირში. წარმოებითი ურთიერთობების — ფორმის საწარმოო ძალებისაგან, შინაარსისაგან დამოუკიდებლად განხილვა მეტაფიზიკაა. მაგრამ თუკი წარმოებითი ურთიერთობების მოწყვეტა არ შეიძლება საწარმოო ძალებისაგან, ასევე წარმოებითი ურთიერთობებიც არ შეიძლება განვიხილოთ ზედნაშენისაგან დამოუკიდებლად, როგორც თვითკმარი, რადგან ის, რაც ერთ შემთხვევაში ფორმა ხდება, მეორე შემთხვევაში შინაარსია ზედნაშენთან დამოკიდებულებაში. ხოლო შინაარსის ფორმისაგან მოწყვეტა არ შეიძლება. იმიტომ პოლიტიკური ეკონომია, როგორც მეცნიერება, შეისწავლის წარმოებით ურთიერთობებს საწარმოო ძალებთან და ზედნაშენთან ურთიერთკავშირში. მხოლოდ აქედან. გამომდინარე, შეიძლება დავეთანხმოთ რ. ასათიანის თვალსაზრისს, რომ სოციალისტური აღწარმოების პრობლემებს ვერ შევისწავლით არაწარმოებრივი სფეროს გარეშე.

говле продовольственными товарами, изделиями легкой промышленности, культурно-бытового и хозяйственного назначения и галантерей за счет объединения товарных управлений (отделов) министерства торговли и других подразделений, а также оптовых организаций и предприятий. Для этого необходимо провести в составе указанных объединений рациональную товарную специализацию и укрупнение. Эти подразделения будут заниматься коммерческой работой с промышленностью по формированию представления заявок и заказов, оптовых ярмарок, обеспечением товарами торгующих организаций и предприятий в пределах региона независимо от ведомственной подчиненности, а также выполнением межреспубликанских, межобластных и общесоюзных поставок товаров. Действующие республиканские специализированные оптовые объединения (конторы) при этом должны упраздниться.

Следующее направление — это постепенная передача областных и краевых оптовых предприятий в непосредственное подчинение управлений торговли областных и краевых исполкомов. При этом за базами сохраняются оптово-сбытовые функции.

С 1 июля 1988 года предлагается осуществить концентрацию складского хозяйства в оптовом звене за счет передачи находящихся в одном городе складов торгов, розничных торговых предприятий, оптовых организаций, других систем государственной торговли.

Принято и такое решение: до 1 марта 1988 года рассмотреть вопрос о создании самостоятельных хозрасчетных предприятий по эксплуатации складов, их оснащению торгово-технологическим оборудованием и его ремонту, обеспечению технического перевооружения и реконструкции, проведению транспортно-экспедиционных и других работ по обслуживанию оптовых предприятий.

Важен пункт, где содержится требование повысить уровень работы оптовых предприятий и организаций по формированию заказов на производство и поставку товаров народного потребления на основе глубокого изучения конъюнктуры спроса и особенностей товарных рынков. На руководителей министерств торговли союзных республик, оптовых предприятий и организаций возлагается персональная ответственность за обоснованность и правильность определения потребности в товарах, необходимых для удовлетворения потребностей населения, особенно на товары для детей, молодежи, лиц старшего возраста.

Вновь подчеркивается требование о необходимости на оптовых ярмарках производить свободную продажу и закупку товаров, а также заключать договоры на их поставку для общесоюзных нужд, по межобластным и межреспубликанским планам. Требуется обеспечить участие в ярмарках предприятий промышленности, бытового обслуживания, а также кооперативов по производству товаров. Все это позволит увеличить выпуск и поставку товаров в нужных объемах и ассортименте, в том числе из местного сырья и отходов основного производства, продукции подсобных промыслов и т. д.

На оптовых ярмарках будут теперь проводиться выставки образцов товаров из фондов объединения «Союзпромвнедрение» для последующего освоения и внедрения в массовое производство.

Решено в 1988 году завершить перевод на прямые длительные договорные отношения предприятий промышленности с универмагами, торговыми центрами, специализированными и фирменными магазинами и другими организациями в пределах республики, края, области, города и региона, минуя промежуточные звенья.

Предусматривается при планировании поставок по формам товародвижения (складской, транзитной) обеспечивать развитие складского товарооборота по товарам. Такая форма предполагает поставки в подсортированном виде и сформированном торговом ассортименте. Транзитные поставки должны практиковаться по товарам крупногабаритным, технически сложным и другим, с применением непосредственных расчетов поставщиков с покупателями.

Отменяются и действующие сейчас инструкции по разработке перечней достаточных товаров для оптовой торговли и ассортиментных перечней товаров для магазинов. Теперь перечень достаточных товаров будет составляться на каждое полугодие министерствами торговли союзных республик (без областного деления), министерствами торговли автономных республик, управлениями торговли областных, краевых и городских исполкомов совместно с организациями и предприятиями оптовой торговли и направляться до 1 декабря и 1 июня розничным торговым организациям для разработки ассортиментных перечней магазинами. При необходимости в указанный перечень могут вноситься изменения и дополнения.

Вводится и такое правило. Товары, поставленные со складов оптовых предприятий и не проданные в розничной торговой сети в течение трех месяцев, подлежат возврату этим оптовым предприятиям по действующим розничным ценам. Это же правило действует и по отношению к товарам, имеющим гарантийные сроки хранения или годности для их реализации другим торговым организациям в пределах установленных сроков.

Предложено завершить создание в будущем году на всех предприятиях оптовой торговли диспетчерских служб по обеспечению своевременного завоза товаров в розничную торговую сеть. Они должны располагать полной информацией о насыщении торговой сети товарами, поддерживать тесную связь с аналогичными службами промышленности и торговых розничных организаций.

В течение 1987—1988 годов на каждом оптовом предприятии будет внедрена система обеспечения ритмичности товароснабжения розничной торговой сети при организации равномерной (по графикам) поставки товаров в магазины в подсортированном и скомплектованном виде. Это позволит доставлять заказанные или отобранные непродовольственные товары в магазины в согласованные сроки, но не позднее чем в 2-дневный срок одногородним и 5-дневный срок иногородним покупателям. На опт также возлагается обязанность обеспечивать универсамы и крупные продовольственные магазины сопутствующими промышленными товарами.

Для информации оптовых предприятий внутри республики и между союзными республиками об излишних и недостающих товарах и оперативного маневрирования ресурсами решено организовать, начиная с 1928 года, выпуск не реже одного раза в полугодие информационных перечней этих товаров.

Превращение оптовых предприятий в коммерческие центры отрасли предполагает и расширение круга услуг, оказываемых на договорной хозрасчетной основе розничным организациям и предприятиям. Устанавливается перечень таких услуг, как:

а) осуществление по поручению розничных торгующих организаций ответственного хранения товаров на складах оптовых баз, поставляемых предприятиями промышленности в порядке прямых связей, закупленных по децентрализованным поставкам, необходимых для создания запасов товаров для организации сезонной продажи;

б) выполнение заявки розничных торгующих организаций по перемещению товаров, скопившихся в излишках, в другие торговые системы и осуществление посреднических операций по продаже этих товаров другим потребителям независимо от их ведомственной подчиненности;

в) осуществление систематической информации о наличии на оптовых базах товаров достаточного ассортимента, а также товаров, которые могут быть перемещены из одних розничных торгующих организаций в другие, где в них испытывается недостаток;

г) проведение дополнительных работ по формированию торгового ассортимента товаров для поставки в специализированные секции розничных предприятий небольшими партиями, сериями, непосредственно в торговый зал в подсортированном виде по моделям, фасонам, размерам, ростам, расцветкам и потребительским комплексам и другим товарным признакам;

д) оказание помощи торговым организациям и предприятиям, находящимся на прямых длительных хозяйственных связях с промышленностью по составлению заявок и заказов на потребность в товарах, согласованию ассортимента при заключении договоров и проведение юридических и других консультаций;

е) повышение уровня деловой квалификации продавцов, контролеров, товароведов-бракеров относительно свойств и качества товаров, поступающих в продажу, правил приемки их по количеству и качеству, особенно новых товаров;

ж) обеспечение доставки населению с оптовых баз крупногабаритных товаров, проданных по образцам (по указанному покупателям адресу), проверки качества и комплектности, а также установку их на дому для эксплуатации;

з) проведение различных рекламных мероприятий по заказам торгующих организаций;

и) организация и проведение совместно с промышленностью и розничными торговыми организациями постоянно действующих выставок, сравнительных смотров качества товаров, выставок-продаж, покупательских конференций и других мероприятий по изучению спроса населения;

к) осуществление сбора возвратной тары и отправки ее потребителям.

Расходы по оказанию отдельных видов дополнительных услуг и и оплаты предусматривается в договорах поставки.

Таким образом, оптовая торговля выступает в качестве важного средства совершенствования экономических взаимоотношений промышленности с торговлей, обновления, расширения ассортимента и улучшения качества товаров народного потребления.

## ს ა მ ა რ თ ა ლ ი

### პოზა ქანხაძე

#### დამნაშავის პიროვნება და მისი მნიშვნელობა სასჯელის განსაზღვრისათვის

დამნაშავის პიროვნების ღრმა და ყოველმხრივ შესწავლას არსებითი მნიშვნელობა აქვს ბევრი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების საკითხის გადაჭრისათვის, რომლებიც როგორც სისხლის სამართლის ცალკეულ საქმეს. ისე დანაშაულობასთან ბრძოლის ზოგად ამოცანებს უკავშირდებიან. დამნაშავის პიროვნება, როგორც ასეთი, კრიმინოლოგიის კვლევის საგანსაც შეადგენს, მაგრამ პიროვნების შესწავლამ შეიძლება არსებითი მნიშვნელობა იქონიოს იმ სისხლის სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისათვის, რომლებიც დაკავშირებულია, მაგალითად, სასჯელის დანიშვნასთან, მის ინდივიდუალიზაციასთან <sup>1</sup>.

პიროვნების დამახასიათებელი ზოგი გარემოება (მაგალითად, დანაშაულის არაერთგზის ჩადენა, პირის სამსახურებრივი მდგომარეობა) კანონმდებლის მიერ აღწერილია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნის სახით და ამდენად მნიშვნელობა აქვთ დანაშაულის კვალიფიკაციისათვის. ხშირად გარკვეული მონაცემები პიროვნებაზე არ არის აღწერილი შემადგენლობაში, მაგრამ ხელს უწყობენ დელიქტის რომელიმე ნიშნის დადგენასა და დაზუსტებას, ასრულებს რა ამით გარკვეული კრიტერიუმების როლს.

მაგალითად, იმისათვის რომ დადგინდეს, მოხდა თუ არა დანაშაულებრივად დაუდევრობა, შეიძლება აუცილებელი იყოს პიროვნების ზოგი მონაცემისა და თვისების გარკვევა, რათა დადასტურდეს ევალეზობა და შეიძლოს თუ არა მას გაეთვალისწინებინა ქმედობის მავნე შედეგები (სამსახურებრივი მდგომარეობა, მოვალეობათა წრე, კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება ამა თუ იმ სფეროში, ფსიქიკური და ფიზიოლოგიური თავისებურებანი და სხვა).

მოქმედი კანონმდებლობა დამნაშავის პიროვნებას ბევრ სისხლისსამართლებრივ ინსტიტუტს უკავშირებს: სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს (საფუძვლების 32-ე მუხლი), დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა უმრავლესობას (მუხ. მუხ. 33 და 34), კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნას (მუხ. 39), პირობით მსჯავრდებას (მუხ. 38), განაჩენის აღსრულების გადადებას (მუხ. 31), თავისუფლების აღკვეთის დროს რეჟიმის განსაზღვრას (მუხ. 23) და ა. შ. პიროვნების ყოველმხრივი შესწავლისა და შეფასების გარეშე ვერ გადაწყდება მისი პასუხისმგებლობისა და სას-

<sup>1</sup> Карпец И. И. Наказание: социальные, правовые и криминологические проблемы. М., 1973, с. 183.

ჯელისაგან გათავისუფლების საკითხი, ზემოქმედების ისეთი ზომების გამოყენების საკითხი, რომლებიც არ უკავშირდებიან თავისუფლების აღკვეთას და სხვა<sup>2</sup>.

ამგვარად, დამნაშავეს პიროვნება მხედველობაში მიიღება, როგორც პასუხისმგებლობის საკანონმდებლო დიფერენციისას, ისე სასამართლოს მიერ პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს<sup>3</sup>. ამგვარად ყურადღებას ბოლო საკითხზე შევაჩერებთ.

მას შემდეგ, რაც სასამართლო დაადგენს მომხდარ ფაქტს და მის ზუსტ შესაბამისობას სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის რომელიმე შემადგენლობასთან, ე. ი. მოახდენს სწორ კვალიფიკაციას, იგი უნდა შეუდგეს განსასჯელის მიმართ სასჯელის დანიშვნის საკითხის გადაჭრას. ეს არის სასამართლოს შეფასებითი საქმიანობის დასკვნითი ფაზა. ამ დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისებით, რომლებიც ჩამოყალიბებული არიან სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 32-ე მუხლით (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 37). ეს მუხლი მიუთითებს, რომ სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს 1) ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი, 2) დამნაშავეს პიროვნება და 3) საქმის გარემოებები, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხისმგებლობას.

როგორც ვხედავთ, ერთ-ერთ გარემოებად, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სასამართლოს მიერ სასჯელის შეფარდებისას, დასახელებულია დამნაშავეს პიროვნება. აქ ბუნებრივად იბადება კითხვა: რა თანაფარდობაშია დამნაშავეს პიროვნება, როგორც სასჯელის დანიშვნის ერთ-ერთი კრიტერიუმი, კანონით ჩამოთვლილ სხვა გარემოებებთან: ერთის მხრივ, დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებასთან, მეორეს მხრივ — პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებთან, რამდენად დამოუკიდებელია იგი მათთან შედარებით და რა ზომით ახდენს ზეგავლენას სასჯელის სიმკაცრეზე. ამდენად, კანონის ზოგადი სახელმძღვანელო მითითება დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებაზე გარკვეულ განმარტებას მოითხოვს.

საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში არ არის დავა იმაზე, რომ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და დამნაშავეს პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროება ფარდობითად დამოუკიდებელი ცნებებია და ყოველთვის არ ემთხვევიან ერთმანეთს. ეს იოლი შესამჩნევია ზოგიერთი გაუფრთხილებელი დანაშაულის მაგალითზე, როდესაც ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება მკვეთრად და დაცილებული მისი ჩამდენი პირის სოციალურ-ეტიკური შინაარსისაგან. ამიტომ იმსახურებს იგი, როგორც წესი, ნაკლებ ზნეობრივ გაკიცხვასაც საზოგადოების მხრიდან.

ამას გარდა, პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციაზე გავლენას ახდენენ პიროვნების დამახასიათებელი ისეთი გარემოებებიც, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდებიან ქმედობას და მის საზოგადოებრივ საშიშროებას. ასეთია, მაგალითად, დამნაშავეს ოჯახური მდგომარეობა (კმაყო-

<sup>2</sup> იხ. Личность преступника. М., 1975, с. 23-24.

<sup>3</sup> კ. ქამხაძე, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცნებისათვის. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1984 № 2, გვ. 79-81.

ფაზე. მყოფი პირების არსებობა, არასრულწლოვანობა, ჯანმრთელობა) და ა. შ.

გამორიცხული არ არის ისიც, რომ ბრალეული პირის საზოგადოებრივი საშიშროება შემცირდეს ან, ზოგ შემთხვევაში, გაიზარდოს კიდევ დანაშაულის ჩადენის შემდეგ. ამით ხომ არაფრით არ იცვლება უკვე ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი? ესეც არ იყოს, დამნაშავეს პიროვნება ყოველთვის როდი გამოიხატება ჩადენილი დანაშაულით და არასდროს არ ვლინდება მხოლოდ მასში<sup>4</sup>. ამდენად, დამნაშავეს პიროვნება შედარებით დამოუკიდებელი ფაქტორია, რომელიც ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებასთან ერთად უნდა იყოს მიღებული მხედველობაში სასჯელის დანიშვნისას.

ამასთან ერთად საჭიროა მაინც გაირკვეს ქმედობას თუ მომქმედს, დანაშაულს თუ დამნაშავეს ანიჭებს საბჭოთა სისხლის სამართალი უპირატესობას სასჯელის ზომის შერჩევის დროს.

სისხლის სამართლის განვითარების ისტორიას რომ გავადევნოთ თვალი, დავინახავთ, რომ ქმედობის თუ მომქმედის პირველობის საკითხი სასჯელის განსაზღვრისას ყოველთვის იდგა დღის წესრიგში. იმისაგან თუ როგორ წყდებოდა იგი, ბევრად იყო დამოკიდებული სისხლის სამართლის (დასჯითი) პოლიტიკის შინაარსი. ეს უკანასკნელი კი უშუალოდ უკავშირდებოდა სასჯელის მიზნებს. მთლიანად იყო გაპირობებული იმით, თუ სასჯელის რომელი თეორია ბატონობდა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე<sup>5</sup>.

თავის მხრივ დასჯითი პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი მთლიანად გამომდინარეობს საზოგადოების იმ სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან, რომელიც მისი ისტორიული განვითარების ცალკეული პერიოდისათვის არის დამახასიათებელი. რამდენადაც მატულობდა სახელმწიფოსათვის პიროვნების ღირებულება, იმდენად მეტად იჩენდნენ თავს ჰუმანისტური საწყისებიც<sup>6</sup>. ამასთან ერთად ყურადღების მთლიანად პიროვნებაზე გადატანა და „მომქმედის სისხლის სამართლის“ აღიარება თავისთავად როდი ნიშნავს პროგრესულობას. აქ მთავარია, ჩვენის აზრით, არ დავაშოროთ ერთმანეთს პიროვნება და მისი მოქმედება, არ ვცნოთ მათ შორის რაღაც გადაულახავი ზღვარი.

დიდ ყურადღებას უთმობს დამნაშავეს პიროვნებას საბჭოური სისხლის სამართლი. სასჯელის დანიშვნა აქ წარმოვედგება ჩადენილი ქმედობის სა-

<sup>4</sup> Сахаров А. Б. О личности преступника и причинах преступности в СССР, М., 1961, с. 16.

<sup>5</sup> დაწვრილებით სასჯელის თეორიების შესახებ იხ.: Фойницкий И. Я. Учение о наказании в связи с тюремным ведением. С-П, 1889, с. 53; Сергеевский Н. Д. Русское уголовное право. Часть общая, С-П, 1905, с. 98; Познышев С. В. Основные начала науки уголовного права. Часть общая. М., 1912, с. 54; ალ. ვაჩეიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი. თბ. 1960; Решетников Ф. М. Уголовное право буржуазных стран. Классическая школа и антрополого-социологическое направление. Вып. II., М. 1966.

<sup>6</sup> Жижиленко А. А. Очерки по общему учению о наказании. 1932, с. 32-33.

ზოგადოებრივი საშიშროებისა და მისი ჩამდენის საზოგადოებრივი საშიშროების ურთიერთშეწონილობის ერთგვარ ფუნქციად<sup>7</sup>.

დამნაშავის პიროვნების მკაცრი გათვალისწინების აუცილებლობა სასჯელის დანიშვნისას გამომდინარეობს საბჭოური სისხლის სამართლით დადგენილი სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის არსიდან, რომელიც გულისხმობს მსჯავრდებულის შემდგომ გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდას და თანაც ამისათვის ყველაზე ეფექტიანი საშუალებებით. როგორც სწორად აღნიშნავს ნ. ლეიკინა, „სასჯელის საზომი უნდა იყოს დანაშაულიც და დამნაშავის პიროვნებაც“<sup>8</sup>. „ქმედობისა“ და „მომქმედის“ ურთიერთდაპირისპირების დაუშვებლობა, მათი ერთობლივი გათვალისწინების აუცილებლობა საბჭოური სისხლის სამართლის დამახასიათებელი თვისებაა.

ამასთან ერთად პასუხისმგებლობისა და სასჯელის ზომის განსაზღვრისას „ქმედობისა“ და „მომქმედის“ ურთიერთკავშირში გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც პირველ რგოლს უნდა მიეცეს — ქმედობას. კ. მარქსა თავის დროზე მიუთითებდა: „Наказание должно явиться в глазах преступника результатом его собственного деяния. Пределом его наказания должен быть предел его деяния“<sup>9</sup>.

„თავისთავად ცხადია, აღნიშნავდა ნ. ტაგანცევი, რომ დანაშაულებრივი ქმედობის იურიდიული შესწავლა ვერ შემოიფარგლება მხოლოდ ქმედობის შესწავლით და ვერ დატოვებს ყურადღების გარეშე მის მომხდენს...“, მაგრამ „ძნელი არ არის იმის დანახვა, განავრძობს ავტორი, რომ ეს პიროვნება სისხლისსამართლებრივი კვლევის სფეროში იქცევა იმიტომ, რომ იგი მყლავნდება დანაშაულებრივ ქმედობაში და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ვლინდება იგი ამ ქმედობაში. ამიტომ სისხლის სამართლის საგანს და შესწავლის ცენტრს წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედობა, და არა „დანაშაულობა“, პიროვნების მოქმედებანი, და არა თვით პიროვნება“<sup>10</sup>.

ნ. ტაგანცევი, როგორც სისხლის სამართლის კლასიკური მიმდინარეობის ქომაგი და მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, „ქმედობის სისხლის სამართალს“ აღიარებდა და დამნაშავის პიროვნებასაც ჩადენილი დანაშაულის კუთხით განიხილავდა.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი საზოგადოებისათვის პიროვნების ღირებულება შეუდარებლად მაღალია, მოქმედი სისხლის სამართალი დღესაც მაინც „ქმედობის სისხლის სამართალია“<sup>11</sup>.

ამიტომ იმ მრავალი მონაცემებიდან, რომლებიც დამნაშავის პიროვნებას ახასიათებენ, პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციაზე გავლენა პირველ რიგში იმ ნიშნებმა და გარემოებებმა უნდა იქონიონ, რომლებიც

<sup>7</sup> Чубарев В. Л. Индивидуализация наказания. Автореферат, дисс... канд. юрид. наук, М., 1977, с. 9.

<sup>8</sup> Лейкина Н. С. Личность преступника и уголовная ответственность. Изд-во ЛГУ, 1968, с. 98.

<sup>9</sup> Маркс К. и Энгельс Ф., Соч. т. I, с. 124.

<sup>10</sup> Таганцев Н. С. Лекции по русскому уголовному праву. Часть общая. С.-П., 1887, с. 9.

<sup>11</sup> სწორედ ამიტომ იქნება უფრო მართებული ვისარგებლოთ ტერმინით „დანაშაულობა“ და არა „დამნაშაეობა“.

ამკარავებენ თუ როგორ და რამდენად გამოამყლავნა პირმა თავი კონკრეტულ დანაშაულში.

ამ მხრივ დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს დამნაშავის ბრალის სიმძიმეს, დანაშაულის ჩადენის მოტივს, რადგან სწორედ სუბიექტური მხარე „წარმოშობს, წარმართავს და არეგულირებს დანაშაულის ობიექტურ მხარეს“<sup>12</sup>. ეს არის ობიექტურისა და სუბიექტურის დიალექტიკური კავშირის ერთ-ერთი გამოვლინება.

ბრალის სიმძიმე, მისი ხარისხი ავი ნების ინტენსივობის, ბოროტი ენერჯის მაჩვენებელია, რაც ქცევის ეთიკური გასაიციხაობის სანდო საზომს გვაძლევს. ბრალის სიმძიმის სწორი შეფასების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად დანაშაულის მოტივი გვევლინება.

მოტივი, რასაკვირველია, არ უნდა გავაიგივეოთ განსაზღვრასთან და მას ისეთივე მნიშვნელობა მივცეთ შერაცხვის საკითხში, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აქვს ბრალის ხარისხის და შესაბამისად სასჯელის განსაზღვრისათვის<sup>13</sup>. ქცევის მოტივი, ბრალის სიმძიმეზე რომ მიანიშნებს, ამით პიროვნების შეფასების საშუალებასაც გვაძლევს მასი ზნეობრივი სახის ამოცნობის თვალსაზრისით.

ამავე დროს ბრალის ხარისხის გარკვევით არ ამოიწურება დამნაშავის პიროვნების შეფასება. დამნაშავის პიროვნება უფრო ფართო ცნებაა, ჩვენის აზრით, და მიანიშნებს არა მარტო აწმყოზე — დამნაშავე კონკრეტულ ქმედობაში, არამედ წარსულზეც — დანაშაულის ჩადენის მიზეზები, პირობები და მომავალზეც — დამნაშავის გამოსწორების გზები. ესეც არ იყოს, როგორ უნდა განვსაჯოთ, მაგალითად, თანადმსრულებლები სხვა თანაბარი პირობების არსებობისას, თუ არა თითოეული მათგანის პიროვნების გათვალისწინებით.

ამიტომ, ვფიქრობთ, იურიდიულ ლიტერატურაში სწორი აზრია გამოთქმული, რომ სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებში ბრალის ხარისხი დამოუკიდებელ კრიტერიუმად იქნეს შეტანილი<sup>14</sup>. ეს კარგი იქნებოდა არა მარტო ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის შემდგომი განვითარებისათვის, არამედ უფრო მეტად გამოკვეთავდა დამნაშავის პიროვნებას, როგორც დამოუკიდებელ კრიტერიუმს სასჯელის განსაზღვრისას. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მით უფრო საყურადღებოა, რამდენადაც სასამართლო პრაქტიკაში ხშირია დამნაშავის პიროვნების მის ბრალთან იდენტიფიკაცია. ამგვარი ვითარება, რა თქმა უნდა, ხელს უშლის დამნაშავის პიროვნებისადმი ჯეროვანი ყურადღების გამოამყლავნებას, რაც ყოვლად აუცილებელია არა მხოლოდ სამართლიანი სასჯელის დანიშვნისათვის, არამედ დანაშაულის შემდგომი გამოსწორების ეფექტიანი საშუალებების გამოსარკვევად. ეს შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს პროფილაქტიკური ღონისძიებების დასახევაში და დამ-

<sup>12</sup> Кудрявцев В. Н. Объективная сторона преступления. М., 1960, с. 12, 17.

<sup>13</sup> Фойницкий И. Я. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 95.

<sup>14</sup> Угрехелидзе М. Г. Степень вины в аспекте соотношения объективного и субъективного оснований уголовной ответственности. В кн.: Совершенствование советского законодательства на основе Конституции СССР и Конституции союзных республик. Тб. 1982, с. 192; его же: Учет объективных и субъективных моментов при совершенствовании советского законодательства. В сб.: Проблемы уголовного права в свете решений XXVI съезда КПСС, М., 1983, с. 85.

ნავის შემდგომი გამოსწორებისა და რესოციალიზაციის პერსპექტივების გარკვევაში.

დამნაშავის პიროვნების შეფასებისას უნდა გაირკვეს, აგრეთვე, რამდენად ლოგიკური, კანონზომიერი იყო მისთვის ჩადენილი დანაშაული, ჰქონდა მას გარკვეული ანტისოციალური ჩვევები, მზაობა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის, თუ ეს შემთხვევითი, მისთვის უჩვეულო ფაქტი იყო ცხოვრებაში.

როდესაც არ არის შესამჩნევი განხეთქილება პიროვნებასა და მის ქცევას შორის, ე. ი. როცა ამ მნიშვნელობით სუბიექტური და ობიექტური მომენტები ერთგვარ წონასწორობაშია მოქცეული — მაშინ სასჯელზე მსჯელობაც არ წარმოადგენს დიდ სირთულეს. სიძნელეები წარმოიქმნება პიროვნების და ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების მკვეთრი დაცილების დროს. სწორედ ასეთ დროს მართებს სასამართლოს კონკრეტული დანაშაულის მიზეზებისა და ხელისშემწყობი პირობების ყურადღებიანი ანალიზი, დანაშაულის ვითარების, დაზარალებულის ქცევის და მისი ბრალეულთან დამოკიდებულების დაწვრილებითი შესწავლა და საქმის სხვა გარემოებათა ყოველმხრივი შეფასება.

ქმედობისა და პიროვნების კავშირში ობიექტურის სუბიექტურთან შეწონილობის თვალსაზრისით ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი შემთხვევები, როცა ერთ-ერთი მათგანის საზოგადოებრივი საშიშროება იმდენად მაღალია, რომ მინიმუმამდე ამცირებს მეორის მნიშვნელობას და მის ზეგავლენას სასჯელის ზომაზე. უფრო ხშირად ასეთ დროს ქმედობის გაზრდილ ობიექტურ საშიშროებასთან გვაქვს ხოლმე საქმე.

უბრველეს ყოვლისა აქ იგულისხმება განსაკუთრებით მომეტებული საფრთხის წყაროსთან მოპყრობის წესების დარღვევის შემთხვევები, როცა ამას განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოსდევს. მაგალითისათვის ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და გემზე „ადმირალ ნახიმოვზე“ მომხდარი ავარია იკმარებს. ამგვარი საფრთხის წყაროსთან ურთიერთობისას წინდახედულების ნორმების უგულვებელყოფა, ან მით უფრო მათი უხეში დარღვევა განსაკუთრებით მძიმე შედეგის გამოწვევის შემთხვევაში შეუძლებელს ხდის დამნაშავის პიროვნებაზე რაიმე პოზიტიურ მსჯელობას. აქ უკვე სულ სხვა კანონები იწყებენ მოქმედებას. ეს თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ნაყოფია, რომელსაც თავისი კორექტივები შეაქვს ყველგან.

ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც შემუშავების პროცესშია, ალბათ, გაითვალისწინებს განსაკუთრებულად მომეტებული საფრთხის წყაროსთან ადამიანის ურთიერთობის მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმას. ამის აუცილებლობაზე კარგა ხანია მიუთითებდნენ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში<sup>15</sup>, მაგრამ კანონმდებელი, ალბათ, პრაქტიკით გამოცდას ელოდებოდა<sup>16</sup>.

<sup>15</sup> Угрехелидзе М. Г. Технический прогресс и некоторые вопросы ответственности за неосторожные деяния.—В сб., Научно-технический прогресс и проблемы уголовного права. М., 1975, с. 150-152.

<sup>16</sup> აღსანიშნავია, რომ დასავლეთ გერმანიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში და სხვა ქვეყნებში დიდი ხანია, რაც მოქმედებენ სისხლისსამართლებრივი ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას წესების დარღვევისათვის ატომური ენერჯის წყაროსთან შეხებისას.

6. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1988, № 1

ზოგ შემთხვევაში, პირიქით, არა ქმედობის, არამედ დამნაშავეის პიროვნების მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება ხდება პასუხისმგებლობისა და სასჯელის მოცულობის საზომი. ასეა, მაგალითად, უვარგისი მცდელობის შემთხვევაში (უვარგისი ობიექტზე ხელყოფა, უვარგისი საშუალებებით მოქმედება), რადგან ასეთ დროს ობიექტურად მაინც შედეგი არ ხორციელდება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უვარგისი მცდელობას ობიექტური საფრთხე საერთოდ არ გააჩნია და პასუხისმგებლობის საფუძველი ამგვარი ქმედობისათვის მხოლოდ პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროებაა. ასეთი მიდგომა „მომქმედის“ სისხლის სამართლის აღიარებამდე მიგვიყვანდა, რომლისთვისაც უცხო არ არის პირის „საშიში მიდგომარეობის“, ნების ლიტონი გამომჟღავნების დასჯადობა.

მცდელობა საბჭოური სისხლის სამართლის მიხედვით გულისხმობს დანაშაულის განხორციელების უშუალო საფრთხეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მცდელობის მოქმედებას აქვს ობიექტური ტენდენცია დანაშაულის განხორციელებისა, იგი კანონზომიერად იწვევს ასეთ შედეგს<sup>17</sup>. სწორედ ამიტომ არ ითვლება დასჯადად ეგრეთწოდებული აბსოლიტურად უვარგისი მცდელობა — ე. ი. მცდელობა, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია გამოიწვიოს განზრახული დანაშაულებრივი შედეგი (მაგალითად, კაცის მოკვლა შელოცვით, უკვე მკვდარი კაცის მოკვლა)<sup>18</sup>.

მცდელობისათვის პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას, რა თქმა უნდა მხედველობაში მიიღება ობიექტის ღირებულება, რომლის დაზიანებასაც ცდილობდა დამნაშავე, დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ვითარება. თავის მხრივ ყველა ეს ობიექტური, თავისი ბუნებით, გარემოებანი საბოლოო ანგარიშით ისევ და ისევ პირის საზოგადოებრივ საშიშროების ხარისხზე მიუთითებენ, რომელიც, განსაკუთრებით უშედეგო დანაშაულებრივი მოქმედების პირობებში, ქმედობის სუბიექტური მხარის შინაარსით განისაზღვრება — ქცევის მოტივით, მიზნით, ბრალით. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ობიექტური და სუბიექტური ნიშნები მოწყვეტილნი კი არ არიან ერთმანეთს, არამედ მათ შორის ორგანული კავშირია, რითაც ავსებენ ერთმანეთს და დიალექტიკურ ერთიანობას ქმნიან<sup>19</sup>.

სრულად რომ გავარკვიოთ დამნაშავეის პიროვნების მნიშვნელობა და მისი ადგილი სასჯელის ზოგად საწყისებში, უნდა განვიხილოთ იგი არა მარტო ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებასთან მიმართებით, არამედ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებთან ურთიერთკავშირშიც.

გარემოებანი, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხისმგებლობას, სასჯელის დანიშვნის უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმებს წარმოადგენენ. ისინი ხელს უწყობენ სამართლიანი და მიზანშეწონილი სასჯელის გამოტანას.

სისხლის სამართლის თეორიაში გამოჰყოფენ ამ გარემოებათა ორ სახეს: 1) რომლებიც ჩართული არიან დანაშაულის შემადგენლობაში და ქმედობის კვალიფიკაციისათვის აქვთ მნიშვნელობა და 2) რომლებიც არ არიან

17 თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961, გვ. 156

18 იქვე, გვ. 164.

19 დ. სულაქველიძე, მ. უგრეხელიძე, ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობისათვის შერაცხადობის ცნებაში. „საბჭოთა სამართალი“ 1984, № 2, გვ. 67-74.

გათვალისწინებულნი კონკრეტული შემადგენლობით და გავლენას მხოლოდ პასუხისმგებლობისა და სასჯელის ზომაზე ახდენენ. როგორც სამართლიანად შენიშნავს ი. კარპეცი, პირველი რიგის გარემოებანი ტიპობრივ სასჯელს განსაზღვრავენ, ხოლო მეორე რიგისა კი დახმარებას უწევენ სასამართლოს სასჯელის ინდივიდუალური ზომის დანიშვნის დროს<sup>20</sup>.

საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლით მოცემულ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა ჩამონათვალს თუ გადავხედავთ, ძნელი არ იქნება იმის შემჩნევა, რომ მათი თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა პირდაპირ (პ. პ. 1, 7, 8, 9) თუ არაპირდაპირ, ბრალის ხარისხზე გავლენით (პ. პ. 2, 3, 4, 5, 6), არა ქმედობის, არამედ დამნაშავის ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებაზე მიუთითებს. მცირე გამონაკლისის გარდა იგივე შეიძლება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებზეც ითქვას (გ. 39) ბუნებრივად იბადება კითხვა: ხომ არ ხდება აქ დუბლირება, რჩება კი რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც არ არის მოცემული ზოგად ჩამონათვალში და დამნაშავის პიროვნების ნიშნით გაითვალისწინება სასჯელის განსაზღვრის დროს და თუ არის, როგორ ითვალისწინებს მას სასამართლო.

შემამსუბუქებელ გარემოებათა ნუსხა, მოცემული კოდექსის ზოგად ნაწილში (მ. 38), ამომწურავი არაა, მას სანიმუშო ხასიათი აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს უფლება აქვს სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღოს ისეთი შემამსუბუქებელი გარემოებანიც, რომლებიც ამ მუხლით მითითებული არ არის. ასეთ გარემოებებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, მოხუცებულობა, წვრილშვილიანობა, კმაყოფაზე მოხუცი მშობლების ყოლა, წინანდელი დამსახურება, დადებითი შრომითი საქმიანობა, დანაშაულის გახსნისათვის ხელის შეწყობა, დამნაშავის შეპყრობის ისეთი შემთხვევები, როდესაც არ არის დაცული მისი მართლზომიერების ყველა პირობა და სხვა<sup>21</sup>.

ცალკეული ამ გარემოებათაგან ხშირად ვხვდებოდა სასამართლო განაჩენებში, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სასამართლო სარგებლობს თავისი უფლებით გაცდეს შემამსუბუქებელ გარემოებათა სანიმუშო ჩამონათვალს და შემამსუბუქოს სასჯელი პიროვნებისათვის დამახასიათებელი რაიმე დამატებითი გარემოების მითითებით. როგორც წესი, ამას ადგილი აქვს მაშინ, როცა დანაშაული არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, ხშირად ვხვდებით ასეთს გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის განაჩენის გამოტანის დროსაც.

იმ შემთხვევაში კი, როცა საქმე მძიმე დანაშაულს ეხება, სასამართლო ზოგ შემთხვევაში, ან საერთოდ არ აღნიშნავს განაჩენში ფაქტიურად არსებულ შემამსუბუქებელ გარემოებას, ან თუ უთითებს მასზე, არსებითად არ ითვალისწინებს სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

სასამართლო ვალდებულია არა მატრო მიუთითოს განაჩენში შემამსუბუქებელ გარემოებებზე, არამედ გაითვალისწინოს კიდევ ისინი სასჯელის დანიშვნის დროს. სასამართლოს მიერ ამ გარემოებათა გაუთვალისწინებლობა შეიძლება საფუძველი გახდეს განაჩენში ცვლილებების შეტანისა. ასე, მაგალითად, რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასა-

<sup>20</sup> Карпец И. И. Отягчающие и смягчающие обстоятельства в уголовном праве., М., 1959, с. 25.

<sup>21</sup> თ. შავგულიძე, საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები თბ. 1976, გვ. 222.

მართლო კოლეგიამ ცვლილება შეიტანა რაიონული სასამართლოს განაჩენში ბ.-ს მიმართ, რადგან სასჯელის დანიშვნისას არ იყო გათვალისწინებული, რომ მსჯავრდადებული დიდხანს მუშაობდა ქარხანაში, საიდანაც დადებითად ხასიათდებოდა, კმაყოფიანად ჰყავდა ორი არასრულწლოვანი ბავშვი, გულწრფელად მოინანია ჩადენილი ქმედობა<sup>22</sup>. როგორც ვხედავთ, ყველა აღნიშნული გარემოება პიროვნების ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებაზე მეტყველებენ და მათ არ უნდა მიეცემოდა ფორმალური მნიშვნელობა განაჩენში უბრალო აღნიშვნის სახით. ეს ძლიერ აკნინებს სამათლიანობის პრინციპს, აქვეითებს სასამართლო პროცესის აღმზრდელი მნიშვნელობას.

წინააღმდეგ 38-ე მუხლისა, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები ამომწურავადაა ჩამოთვლილი. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს არ შეუძლია უფრო მკაცრი სასჯელი დაუნიშნოს მსჯავრდებულს საქმის იმ გარემოებების საფუძველზე, რომლებიც კანონის თანახმად მიჩნეული არ არიან პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.

აქ თავს იჩენს საკითხი, რომელიც სადაოდ უნდა ჩაითვალოს საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში. როგორ უნდა გავიგოთ ზემოაღნიშნული, თითქოს ის უარყოფითი თვისებები, რომლებიც დამნაშავეს პიროვნებას ახასიათებენ და რომლებიც გათვალისწინებული არ არიან 39-ე მუხლით, არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სასჯელის განსაზღვრის დროს?

ფართოდ არის გავრცელებული დებულება, რომლის თანახმადაც პიროვნების დამახასიათებელი გარემოებანი შეიძლება გათვალისწინებულ იქნენ-როგორც სასჯელის შემსუბუქების, ისე მისი გამკაცრების მხრივ იმისგან დამოუკიდებლად არიან თუ არა ისინი მითითებულნი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა ნუსხაში<sup>23</sup>.

ზოგიერთი ავტორი წინააღმდეგია ამგვარი იდენტიფიკაციისა და თვლის, რომ პიროვნებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს უფრო ზოგადი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს<sup>22</sup>. ამ თვალსაზრისის მომხრეები მართალია არ აიგივებენ შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს დამნაშავეს პიროვნების დამახასიათებელს, მაგრამ საბოლოო ანგარიშით მაინც უშვებენ მათ ურთიერთდამთხვევას, რაც, ჩვენის აზრით, არსებითად გარდუვალია. ყოველ შემთხვევაში ამ პოზიციასზე დგას სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი, რომელმაც 1979 წლის 29 ივნისის დადგენილებაში „სასამართლოების მიერ სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისების გამოყენების შესახებ“ მართლზომიერად და მიზანშეწონილად მიიჩნია პრაქტიკა, როცა სასამართლოები რიგ შემთხვევაში მკაცრი განაჩენის გამოტანისას, პიროვნების ისეთ უარყოფით თვისებებზე უთი-

<sup>22</sup> საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 222.

<sup>23</sup> Борзенков Г. Н., Вышинская З. А., Мельникова Ю. Б. Учет судом данных о личности виновного.—В. кн.: Эффективность применения уголовного закона. М., 1973, с. 103, 105; Дагель П. С. О принципе индивидуализации уголовной ответственности.—Вестник ЛГУ, 1974, № 11, с. 125; Курс советского уголовного права. Часть общая, т. III, М., 1970, с. 131; გ. ტყეშელაძე, საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ. 1976, გვ. 224.

<sup>24</sup> Ребане И. Об индивидуализации наказания судом по советскому уголовному праву. Ученые записки Тартуского гос. ун-та. Вып. 447, Тарту, 1978, с. 18-20; Личность преступника и применение наказания. Изд-во Казанского ун-та, с. 25-26.

თებენ, რაც ასახული არ არის დამამძიმებელ გარემოებათ ჩამონათვალში<sup>25</sup>. ეს შეიძლება იყოს ცუდი ყოფაქცევა ოჯახში, უარყოფითი საწარმოო დახასიათება და სხვა.

არსებულ ნორმატიულ მიწერილობათა პირობებში საკითხის ცალმხრივი გადაწყვეტა შეუძლებელია — სახეზეა ნორმათა კოლიზია (მუხ. მუხ. 37 და 39). ზოგიერთი ავტორი გამოსავალს იმ მდგომარეობის აღდგენაში ხედავს, რომელიც ადრე მოქმედ კანონმდებლობაში გვქონდა, ე. ი. აუცილებლად თვლის ორთავე ჩამონათვალისათვის ღია, სანიმუშო ხასიათის მოცემას<sup>26</sup>.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, ჩვენის აზრით, არ უნდა იყოს გამართლებული. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს ერთგვარად უკან გადადგმული ნაბიჯია უმართლო, ზედმეტი რეპრესიულობის თავიდან აცილების საქმეში, რადგან ფორმალურ გასაქანს ქმნის კანონის ბოროტად გამოყენებისათვის და თანაც პასუხისმგებლობის დამძიმების მიმართულებით. მეორეც ის რომ, ეს საერთოდ არ შეეღობა ზემოაღნიშნულ კოლიზიას. საქმე ის არის, რომ აქ უფრო რთულ პრობლემასთან გვაქვს საქმე, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, პრობლემასთან, რომელიც საერთოდ სცილდება სასჯელის დანიშვნის თეორიას. ისმის კითხვა: გავაჩნა კი ჩვენ რეალური საშუალება რამდენადმე ეფექტიანი კონტროლი გაუუწიოთ სასამართლოს, როცა იგი, მაგალითად, განაჩენში საერთოდ არ უთითებს ისეთ დამამძიმებელ გარემოებაზე, რომელიც 39-ე მუხლის ჩარჩოებში არ არის მოქცეული, რათა გარკვეულ უთანხმოებაში არ მოექცეს კანონთან, მაგრამ არსებითად მაინც იღებს მას მხედველობაში სასჯელის დანიშვნისას, თუნდაც პიროვნების გათვალისწინების ზოგადი მინიშნებით? ვფიქრობთ, რომ ასეთი საშუალება, ყოველ შემთხვევაში, დღეს არ გავაჩნია.

ერთგვარ გამოსავლად ჩვენ მიგვაჩნია, ერთის მხრივ, მსაჯულთა სისტემის დახვეწა და, შესაძლოა, გაფართოებაც, მეორეს მხრივ კი, განაჩენის მიმართ უფრო მეტი და მკაცრი მოთხოვნების წაყენება. მასში მკაფიოდ უნდა მოსჩანდეს მოსამართლის პოზიცია ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებებისა და პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროების ურთიერთშეწონილობის შესახებ. ყოვლად დაუშვებელია განაჩენში ისეთი ზოგადი ფრაზების ხმარება, როგორც „სასამართლო იღებს რა მხედველობაში ჩადენილ დანაშაულს და დამნაშავის პიროვნებას“ და სხვა ამგვარი. ასეთი რამ არ არის უცხო სასამართლო პრაქტიკისათვის. სასამართლომ რაც შეიძლება სავსედ და ამავე დროს დახვეწილად უნდა წარმოაჩინოს არა მხოლოდ ქმედობის ფაქტიური მხარე, არამედ ისიც, თუ რამდენად გამომჟღავნდა მასში პიროვნება, როგორ მივიდა იგი აქამდე და შეაფასოს მისი შემდგომი გამოსწორების შესაძლებლობები. ეს, ვგონებ, ძლიერ არ გადატვირთავს განაჩენს, თუ კონკრეტულად, საქმიანად იქნება გაკეთებული, სამაგიეროდ საგრძნობლად გაიზდება სამსჯავრო პროცესის აღმზრდელი ფუნქცია, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი აზრის, მართლმშენებლისა და სამართლებრივი კულტურის სწორ განვითარებას. ეს მეტ გასაქანს მოგვცემდა, აგრეთვე, სასამართლოს შეფასებით საქმიანობაზე თვალის მიდევნებისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრის აკიოზში.

<sup>25</sup> Бюллетень Верховного Суда СССР, 1979, № 4, с. 18-19.

<sup>26</sup> Кругликов Л. Л. Некоторые аспекты теории назначения наказания. В сб.: Проблемы уголовного права в свете решения XXVI съезда КПСС. М., 1983, с. 150.

К. А. КАМХАДЗЕ

## ЛИЧНОСТЬ ПРЕСТУПНИКА И ЕЕ ЗНАЧЕНИЕ ДЛЯ ОПРЕДЕЛЕНИЯ НАКАЗАНИЯ

Резюме

Личность преступника входит в область уголовно-правовых исследований только потому, что она проявляется в преступном деянии и лишь постольку, поскольку она проявляется в этом деянии. Соответственно, во взаимосвязи «деяние» — «деятель» решающую роль при назначении наказания играет все же первое звено. Поэтому из множества показателей, характеризующих личность преступника, влияние на индивидуализацию уголовной ответственности и наказания должны оказать те признаки, которые показывают, как и насколько проявила себя личность в конкретном преступлении.

В соотношении преступления и личности преступника в разрезе взаимосвязи объективного и субъективного особо следует выделить те случаи, когда общественная опасность одного из них настолько доминирует, что сводит до минимума значение другого для определения меры наказания.

Заслуживает внимания также возможность со стороны суда реального учета при назначении наказания относящихся к личности виновного тех отягчающих ответственность обстоятельств, которые не указаны в исчерпывающем перечне уголовного закона, с общей ссылкой на личность.

Эта проблема выходит за рамки теории назначения наказания и ее решение связано с изысканием средств эффективного контроля за усмотренным судом. Одним из таких средств представляется дальнейшее совершенствование, возможно, и расширение института народных заседателей, предъявление более строгих требований к точности и ясности приговора.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის განყოფილებამ.

И. В. ГОДЗИАШВИЛИ

ОСОБЕННОСТЬ ГОРОДА И ПРЕСТУПНОСТЬ  
НЕСОВЕРШЕННОЛЕТНИХ

Функционирование преступности существенно зависит от конкретно региональных условий ее протекания. Такая зависимость нацеливает на выявление обстоятельств, от которых в наибольшей степени зависят региональные особенности преступности.

Согласно марксистской концепции о природе преступности, последняя, в конечном счете, зависит от экономических условий общества, его классового характера. Однако признание неминуемости наличия преступности в классовом обществе не должно означать бесперспективность борьбы с нею. Основа для такой борьбы в условиях социалистического общества имеется. Она заключается именно в научном изучении региональных особенностей и их влияния на преступность и в соответствующей разработке мер по снижению неблагоприятных воздействий на преступность, связанных с той или иной спецификой региона.

В криминологии сравнительно-региональный аспект данной проблемы наиболее хорошо разработан применительно к таким территориальным социально-экономическим образованиям, какими являются город и село. Наибольшая контрастность характеристик города и села и аналогичная контрастность картины преступности в них как нельзя лучше продемонстрировала их связь между собой. Именно на таком сопоставительном материале первоначально отстаивалась идея дифференцированного подхода к проблемам функционирования преступности в регионах с различной территориальной и социально-экономической спецификой. Вместе с тем, несмотря на очевидную перспективность таких сравнительно-региональных исследований, их дальнейшее проведение с учетом более детальной дифференциации объектов первичной группировки проходило менее успешно, что объяснялось, прежде всего, отсутствием столь явных различий между городами или между селами. Отсутствие резкого различия, в частности, между отдельными городами естественно, обусловило аналогичную картину и преступности в них. Тем не менее исследование преступности в различных городах выявляло определенные, может быть, не столь яркие как при сравнении с сельской преступностью, различия в ее характере, общественной опасности и других признаках, что предполагало вывод о наличии соответствующих обуславливающих преступность различий между отдельными городами. Таким образом, оставалось только путем сравнения данных о преступности в различных городах выделить те, которые в наибольшей степени отличались бы друг от друга по состоянию или структуре, и посредством этого продолжить поиск особенностей городов, обуславливающих такие различия.



Исследование, ставящее такую цель, было проведено нами в Грузинской ССР. В соответствии с профилем разрабатываемой тематики исследованию подверглась не вся преступность, а лишь одна её часть — преступность несовершеннолетних, которая, как известно, характеризуется как весьма чувствительное к региональным особенностям образование.

На данной начальной стадии предполагалось выделить различия лишь по наиболее существенным, глобальным параметрам. Исходя из поставленной задачи, были выявлены зависимости между особенностями преступности несовершеннолетних и такими характеристиками городов республики как величина, административно-территориальная и народно-хозяйственная значимость, период существования и функциональная направленность.

1. Величина или размер города, как показало изучение, в условиях исследованного региона прямо пропорциональна его административно-территориальной и народно-хозяйственной значимости. Чем больше город, тем он выше стоит в административно-территориальной иерархии, либо тем большее народно-хозяйственное значение имеет для региона. Такая зависимость небезразлична для формирования картины преступности несовершеннолетних в городе. Дело в том, что если по мере увеличения размеров города в нем растет интенсивность влияния ряда криминогенных факторов на лица, совершающие преступления (что общеизвестно), то по мере роста административно-территориального, либо народно-хозяйственного значения города увеличивается интенсивность действующих в нем антикриминогенных факторов: городу уделяется повышенное материально-техническое, хозяйственное, идеологическое, культурное, правовое и другое внимание. Надо отметить, что такой подход с криминологической точки зрения весьма оправдан, ибо повышенное действие антикриминогенных факторов может в значительной степени заблокировать и снизить действенность факторов криминогенного свойства<sup>1</sup>. И действительно, если взглянуть на картину преступности несовершеннолетних в крупных административных центрах республики, то заметим, что в них отмечается определенная стабилизация, либо даже снижение ряда показателей. Такое положение мы склонны связывать с повышенной интенсивностью действия в таких городах антикриминогенных факторов, обусловленных в рамках общей тенденции народно-хозяйственной и административно-территориальной их значимостью, что предполагает первоочередное решение в них ряда важных социальных и экономических вопросов, параллельно имеющих большое значение и для профилактики преступности несовершеннолетних.

Указанный подход следует прежде всего распространить на г. Тбилиси, который является столицей Грузинской ССР и наиболее велик среди остальных городов региона. В свою очередь, величина города, обусловившая деление его на целый ряд крупных административных районов, усложнила проблему профилактического воздействия на преступность несовершеннолетних. В частности, анализ свидетельствовал, что сложившаяся профилактическая система адми-

<sup>1</sup> Например, возрастание роли семейной безнадзорности в неблагоприятном формировании несовершеннолетних может быть нейтрализовано, либо значительно снижено в крупных административных центрах посредством вовлечения подростков в спорт, секционную работу, кружки по интересам. Преимущественная занятость учебной несовершеннолетних в таких городах в первую смену также облегчает контроль семьи за времяпровождением учащегося и т. д.

нистративно-территориальных районов города требует определенной корректировки на основе расширения межрайонных контактов отдельных профилактических служб. Оказалось, что для преступности несовершеннолетних в отличие от направленной на борьбу с ней профилактической системы не свойственно функционирование в строгом соответствии с территориальными границами того или иного административного района. В связи с этим изучение закономерностей её распределения в межрайонном варианте позволит адекватно организовать профилактическую службу каждого конкретного района города.

და უდვასივე შუბოსანი ამა სიკისტრონისა ჯორისასა მისჯევენ, რა მეფე  
აიყაროს.

და სალაროს წინათ იარების სიკისტრონი, და ერთი ყათარი სხვა ჯორი,  
სასაგებლე, გურფადვე მოკმაზული, მაგრამ იგიცა სალაროს წინათ იარების,  
სიკისტრონს უკანით.

ბარგის უხუცესი წინ მიუძღვების და სიკისტრონი და მესაწოლენი წინ  
იარებიან“<sup>1</sup>.

რას უნდა ნიშნავდეს „სიკისტროსანი ჯორი“ ან საერთოდ „სიკისტრონი“?  
არც სულხან-საბა ორბელიანს, არც დ. ჩუბინაშვილს, არც ნ. ჩუბი-  
ნაშვილს, არც ი. აბულაძეს და არც სხვას ეს სიტყვა განმარტებული არა აქვთ.

ე. თაყაიშვილის „ველმწიფის კარის გარიგებისადმი“ დართულ ლექსი-  
კონში „სიკისტრონი“ ახსნილი აქვს, როგორც „მოკაზმული ჯორი“<sup>2</sup>.

ივ. ჯავახიშვილი კი აღნიშნავს, რომ „როგორც მოძრავი სალარო იყო,  
იმგვარადვე მოძრავი საწოლიც არსებობდა. ამისათვის განკუთვნილი იყო  
„სიკისტროსანი ჯორი“ ანუ „სიკისტრონი“<sup>3</sup>. მაგრამ საკითხი თუ რას ნიშ-  
ნავს ეს ტერმინი, ივ. ჯავახიშვილმა ღიად დატოვა. „ველმწიფის კარის გარი-  
გების“ ტექსტის დადგენაზე მუშაობისას მას ეს ტერმინი განუმარტავად აქვს  
აშოაზე გამოტანილი<sup>4</sup>.

1 ქართული სიმართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის გამ., თბ., 1970, გვ. 31.  
2 ე. თაყაიშვილი, ველმწიფის კარის გარიგება, ტფ. 1920, ლექსიკონი.  
3 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიმართლის ისტორია, თბ., ტ. VI, თბ., 1982, გვ. 317.  
4 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. V, დასაბუქდად მოამზადა და  
ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცული მასალით შეავსო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1953, გვ. 209.

ივ. სურგულაძეს „სიკისტრონი“ „სიკრიტონად“ მიაჩნია, რომელიც ბი-  
ზანტიაში სამდივნოს, უწყებას აღნიშნავდა<sup>5</sup>. მართლაც „სიკრიტონი“ („სეკრე-  
ტონი“) გვხვდება ქართულ წყაროებშიც<sup>6</sup>, მაგრამ მას „სიკისტროსან ჯორთან“  
საერთო არაფერი აქვს.

დაახლოებით ამგვარივე მოსაზრება გამოთქვა ი. ანთელავამ, რომელიც  
ისევე როგორც ივ. სურგულაძე, თვლის, რომ „სიკისტრონი“ იგივე „სიკრი-  
ტონია“, მეფის სამდივნოა, რომელიც მიმოსვლისას მას თან ახლდა<sup>7</sup>.

ჩვენც ვთვლით, რომ მეფეს მგზავრობის დროს თან ახლდა თავისი სა-  
წოლი, სალარო, სამზარეულო, კარავი, „მოძრავი“ ეკლესია და სხვ<sup>8</sup>. „სი-  
კისტრონიც“ მათთან ერთად უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო რაც შეეხება „სი-  
კისტრონის“ გაგებას „სიკრიტონად“, იგი უმართებულო უნდა იყოს.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ „სიკისტროსან ჯორს“ სამეფო  
„ტახტის“ მოწყობილობა ჰქონდა აკიდებული<sup>9</sup>. მართლაც, „კარის გარიგების“  
ცნობით „სიკისტროსან ჯორს“ აკიდებული ჰქონდა „დიდი მაფრასი, რომელსა  
შიგან იღვას ერთი მომცრო უკეთესი ორხოვა, ერთი ლაიბი, ერთი სუნდუზი  
და ერთი სასთაული“<sup>10</sup>, რაც მეფის ლოგინს კი არ წარმოადგენდა, არამედ  
„ვეზირობის“ დროს მეფის საჯდომ მოწყობილობას<sup>11</sup>. „ვეზირობის“ აღწე-  
რაში ნათქვამია: „დაფინოს ო რ ხ ო ვ ა ფარეშთუხუცესმან მომცრო და  
ზედ სასთაული დაღვას. დაჯდეს მეფე მას ზედა“<sup>12</sup>. როგორც ვხედავთ,  
ორივე ცნობაში საუბარია მომცრო ორხოვაზე, სასთაულზე. „სუნდუზი“ კი  
ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ძვირფასი ქსოვილი ყოფილა<sup>13</sup>. აქვე დავძენთ.

<sup>5</sup> ივ. სურგულაძე, „ველმწიფის კარის გარიგების“ ერთი ტერმინის გამო, „მაცნე“  
(ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია), 1975, № 2, გვ. 148-154.

<sup>6</sup> ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971,  
გვ. 123-124; თ. ყორღანიძე, ქრონიკები, 1, ტფ., 1892, გვ. 212.

<sup>7</sup> ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-  
XIII სს., თბ., 1983, გვ. 46-48.

<sup>8</sup> ეს კარგად ჩანს „ველმწიფის კარის გარიგებიდან“. ამასვე ამაგრებს დავით აღმაშენ-  
ბლის ისტორიკოსის ცნობა, რომელიც მოგვითხრობს, რომ დავით IV-ს მოგზაურობისა თუ  
ლაშქრობისას თან მიჰქონდა ჯორებსა და აქლემებზე აკიდებული ბიბლიოთეკა („ქართლის  
ცხოვრება“, ტ. 1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვი-  
ლის მიერ, თბ., 1955, გვ. 348). ამასვე მხარს უჭერს ერთი აღმოსავლური ცნობა, თუ რა  
ნივთები ღარჩათ მუსიკოსებს გიორგი III-ს დამარცხების შემდეგ იხ. З. М. Буниятов. Госу-  
дарство атабеков Азербайджана (1136 — 1225 гг.), Баку, 1978, с. 54. შდრ. ბი-  
ზანტია, სადაც მეფის ბარგის ვადასატანად 585 ცხენი და ჯორი იყო საჭირო. მათ  
შორის 80 — მარტო სამეფო სამზარეულოს სატარებლად, 30 — სამეფო გარდერობისათვის.  
ამას მოსდევდა ვერცხლის ჭურჭელი — ხელის დასაბანი, „მოძრავი“ სამეფო ბიბლიოთეკა,  
„მოძრავი“ საიმპერატორო ეკლესია, კარები, იმპერატორის სალარო და სხვ. (М. Н. Ремезов,  
Картины жизни Византии в X-м веке, М., 1898, с. 80—82). ზოგჯერ მეფეებს მთელი არქი-  
ვებიც კი დაჰქონდათ თან. იხ. И. Л. Маяковский, Архивы и архивное дело в  
иностраных государствах (Архивы и Архивное дело в рабовладельческих государствах  
древности и в эпоху феодализма) М., 1959, с. 76.

<sup>9</sup> ი. ანთელავას იგი სავაზიროს მოწყობილობად მიაჩნია. იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

<sup>10</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის გამოცემა, გვ. 37.

<sup>11</sup> ი. ანთელავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

<sup>12</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის გამოცემა, გვ. 49.

<sup>13</sup> ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტო-  
რიისათვის, ტ. III-IV, თბ., 1962, გვ. 172.

რომ უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჯორს მეფის ტახტის აღჭურვილობა მიჰქონდა.

ჩვენ ვეცადეთ, ამოგვეხსნა, თუ რას ნიშნავს სიტყვა „სიკისტრონი“ და მივედით იმ დასკვნამდე, რომ იგი შესაძლოა, უდრის ბერძნულ „სეგესტრონს“ (σέγεςτρον)<sup>14</sup>, რაც ნიშნავს გადასაფარებელს, შემოსახვევს, სახურავს, გარეკანს, შალითას და ა. შ. თუ ყურადღებით ჩავიკითხავთ ჩვენთვის საინტერესო ადგილს, დავინახავთ, რომ მეფის ტახტის მთელ მოწყობილობაზე გადაფარებული იყო „სახურავი ხავედისა, ნაკერი“, ე. ი. ძვირფასი ქსოვილი, რომლის სახელიდანაც უნდა წოდებოდა ჯორს „სიკისტრონი“, ხოლო გადასაფარებელს შიგნით მოთავსებულ აღჭურვილობას „სიკისტრონი“<sup>15</sup>.

С. А. ГОГИНАВА

О ТЕРМИНЕ «СИКИСТРОН» В «РАСПОРЯДКЕ ЦАРСКОГО ДВОРА»

Резюме

«Распорядок царского двора» — памятник скорее всего XIV века — называет во главе царского поезда-обоза «мула с сикистроном», «сикистрон». В литературе это понимается по-разному: как особо «убранный», «украшенный» мул, походная опочивальня царя, (сацולי), походный секретариат (греч. секретон). Последнее понимание, думается, не находит подтверждения. Скорее термин должен происходить от греческого же сегестрон — покров, в настоящем случае особого, парадного убора головной поклажи царского поезда.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებამ.

<sup>14</sup> E. A. Sophocles, Greek Lexikon of the Roman and Byzantine periods (From B. C. 146 to A. D. 1100), Boston, 1870.

<sup>15</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ე. თაყაიშვილი „ხელმწიფის კარის გარიგების“ თარგმანში ერთ ადგილას „სიკისტროსან ჯორს“ თარგმნის, როგორც Мул, покрытый с сикистром (ქართულ სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის გამოცემა, გვ. 58).

## რეცენზია, კოლმეიკა, ინფორმაცია, ქრონიკა

### საბჭოთა კავშირ-ამერიკის X სიმპოზიუმი.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის X სიმპოზიუმი, რომელიც ქ. თბილისში მიმდინარეობდა 1987 წ. 1-4 სექტემბერს მიეძღვნა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებს. იგი ორგანიზებული იყო საბჭოთა ეკონომიკურ სამეცნიერო დაწესებულებათა ასოციაციის მიერ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტთან ერთად.

სიმპოზიუმი გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. თავხელიძემ.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა ეკონომიკურ სამეცნიერო დაწესებულებათა ასოციაციის პრეზიდენტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა აკადემიკოსმა ტ. ხაჩატუროვმა.

პირველ სხდომას თავმჯდომარეობდნენ: აკადემიკოსი ტ. ხაჩატუროვი და პროფესორი ფ. ხოლცმანი (აშშ-ის დელეგაციის მეთაური).

მომხსენებებით გამოვიდნენ: **ე. მ. დ. ვ. ა. ვაშანოვი** (სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტთან არსებული საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭო). მისი მოხსენების თემა იყო: „ბუნებრივი რესურსების გამოყენების პერსპექტივები სსრ კავშირის აგროსამრეწველო კომპლექსში“.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ბუნებრივი რესურსების (მიწის, წყლის, ტყის, მცენარეებისა და ცხოველების) გამოყენების პრობლემებზე აგროსამრეწველო კომპლექსში. იგი ფართოდ შეეხო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და კერძოდ, სახნავის მდგომარეობას. აღნიშნა, რომ სსრ კავშირის მთელი სახნავი მიწის ნახევარზე მეტი სარისკო მიწათმოქმედების ზონაშია განლაგებული, ხოლო მისი ბიოკლიმატური პოტენციალი 1,5-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე შესაბამისად ინგლისში, 1,7-ჯერ დაბალი, ვიდრე ფრანსიაში და 2,2-ჯერ დაბალი ვიდრე აშშ-ში.

მომხსენებელი შეეხო მიწის რესურსების შესწავლის სისტემას სსრ კავშირში, კერძოდ მან აღნიშნა, რომ ეს სისტემა ითვალისწინებს მიწის ტოპოგრაფიულ შესწავლას, ნიადაგის გამოკვლევას, მიწების დარაიონებას, კლასიფიკაციას და შეფასებას. მიღებული რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები საფუძვლად ედება მიწის კადასტრის ფორმირებას.

მომხსენებაში განხილულ იქნა მიწის რაციონალური გამოყენების, მისი გაუმჯობესების საკითხები. აღნიშნა, რომ მიწათმოქმედების სისტემის დარღვევის შედეგად იკარგება მისი ჰუმუსის მნიშვნელოვანი ნაწილი: მან ყურადღება გაამახვილა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და ინტენსიფიკაციის ისეთ მიმართულებებზე როგორცაა მელიორაცია და ქიმიზაცია, განიხილა მიწათმოქმედების ზონალური სისტემების სრულყოფის, ორგანული სასუქის გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის გზავითარების და სხვა საკითხები.

მოხსენებაში სათანადო ადგილი დაეთმო სასოფლო-სამეურნეო სავარ-  
გულებზე და სახნავზე მოთხოვნილების განსაზღვრის ვარიანტებსა და ხერხებზე  
მსჯელობას, აგრეთვე სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი მიწების რესურსე-  
ბის გაფართოებისა და შეესებობისათვის სათანადო გზების ძიებას.

**დოქტორი პიერ რ. კროსონი** (კვლევითი ცენტრი „რესურსები მომავლისა-  
თვის“). თავის მოხსენებაში — „მიწისა და წყლის რესურსების გრძელვადიანი  
შესატყვისობა აშშ-ის მოთხოვნილებასთან“ — მან გაუქა აშშ-ში მიწისა  
და წყლის რესურსების მართვის, ეკონომიურად გამოყენების საკითხები. შეეხა  
სავარგულების დინამიკასა და მიწის ფასების საკითხს. აღნიშნა, რომ 1970-იანი  
წლებიდან სასოფლო-სამეურნეო სავარგულები აშშ-ში 20 მლნ. ჰექტარით  
გაიზარდა, მაგრამ მიუხედავად ამისა გაიზარდა მიწის ფასიც, ძირითადად ინ-  
ფლაციის შედეგად. როგორც მან აღნიშნა, პროდუქციის ექსპორტის შემცი-  
რების შედეგად ბოლო ხანებში შემცირდა დასამუშავებელი მიწის ფართობი.  
მომხსენებელი შეეხო ეროზიის გავლენას ნიადაგის ნაყოფიერებაზე, როგორც  
მან აღნიშნა ეს პროცესი მისი პროგნოზებით გაგრძელდება 2000 წლამდე, რის  
გამოც ამ პერიოდში შემცირდება მარცვლეულის მოსავალი, ეროზიის შემცი-  
რების უმთავრეს საშუალებად მას მიაჩნია მიწების კონსერვაცია.

როგორც პ. კროსონმა აღნიშნა ეროზიის და კერძოდ წყლისმიერი ერო-  
ზიის მოქმედება დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან, ამიტომ მასზე კონ-  
ტროლი უნდა გაძლიერდესო.

იგი შეეხო აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწების არა სასოფლო-სამეურ-  
ნეო მიწებად გადაქცევის პრობლემას, აგრეთვე წყლის რესურსების შემცი-  
რების საკითხს, განსაკუთრებით ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, ამიტომ აღნიშ-  
ნა მან აშშ-ში იზრდება კონკურენცია წყლისათვის. ამასთან იზრდებაო წყლის  
სიმლაშეც, მარილის შემცველობა, რაც უარყოფითად მოქმედებს მოსავლია-  
ნობაზე. საერთოდ მისი აზრით მომავალში აშშ-ის სოფლის მეურნეობა წყლით  
წაკლებად დაკმაყოფილდება და შესაბამისად შემცირდება სარწყავი მიწის  
ფართობიცო.

**ე. მ. კ. ი. ბოგდანოვა** (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალთა  
და ბუნებრივი რესურსების შემსწალელი კომისია). წაიკითხა მოხსენება თემაზე  
„მიწების მელიორაციის ეკოლოგიურ-ეკონომიკური პრობლემები“.

მომხსენებელი შეეხო წყლის გამოყენების და მოხმარების პრობლემებს.  
მოიტანა სათანადო მონაცემები გამოყენებული წყლის მოცულობის შესახებ სა-  
ერთოდ და მოსახლეობის ერთ სულზე სახალხო მეურნეობის დარგების და  
გამოყენების სახეების მიხედვით.

შეეხო წყლის დანაკარგების და გაუჭყყიანების საკითხებს, რაც არა მარ-  
ტო ეკოლოგიურ საშიშროებას წარმოშობს, არამედ, ამცირებს მისი გამოყენე-  
ბის ეფექტიანობასაც.

მომხსენებელმა შემდეგ აღნიშნა რომ გამოყენებული წყლის 70% მოდის  
სოფლის მეურნეობაზე. იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში სახნავის 40%-ზე  
ნალექები არაა საკმარისი, ამიტომ მთელ რიგ რეგიონში პროდუქციის წარ-  
მოება შეიძლება მხოლოდ მორწყვის პირობებში.

მოიტანა რა მონაცემები მელიორირებული მიწების ფართობის და მელიო-  
რაციაზე გაწეული დანახარჯების დინამიკის შესახებ, მომხსენებელმა აღნი-  
შნა, რომ დანახარჯები მელიორაციაზე ვერ გამოისყიდება, ხშირ შემთხვევაში  
ორგანიზაციული ნაკლოვანებების გამო.

მომხსენებელი შეეხო კაპდაბანდებს ბრუნვის დროს მელიორაციაში, რომელიც დიფერენცირებულია კულტურების მიხედვით, აქვე მიუთითა, რომ ბრუნვის დროში ყოველთვის ვერ ვეტყვი.

მან საკითხი დასვა აგრეთვე ქიმიური საშუალებების უფრო ზომიერად და რაციონალურად გამოყენების შესახებ.

მეორე სხდომაზე (თავმჯდომარეები: პროფესორი დ. ჯონსონი, აკადემიკოსი ვ. ბოევი), მოხსენებები წაიკითხეს:

**პ რ ო ფ ე ს ო რ მ ა ლ უ თ ე რ გ. ტ ვ ი ტ ე ნ მ ა** (ოკლახომის შტატის უნივერსიტეტი) თემაზე „ეკონომიკური ზრდის გავლენა სოფლის მეურნეობაზე“. მან გააშუქა საკითხი იმის შესახებ თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკური ზრდა ფერმერულ მეურნეობაზე, როგორც მან აღნიშნა მცირდება ფერმერულ მეურნეობათა რიცხვი.

ეკონომიკური ზრდა მისი აზრით ორმხრივ გავლენას ახდენს ფერმერულ მეურნეობაზე: ამცირებს მათ რაოდენობას და ცვლის მათ სტრუქტურას. მცირე ფერმერები, რომელთა შემოსავალი 40 ათას დოლარზე ნაკლებია ეკონომიკურად არახელსაყრელი ხდება. საოჯახო ფერმერები, აღნიშნა მომხსენებელმა, იყო ძირითადი ბირთვი აშშ-ის სოფლის მეურნეობისა. ესლა ჩვენ მათ ვკარგავთო, სამაგიეროდ იზრდება ფერმერულ მეურნეობათა სიდიდე. შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა საოჯახო ფერმერების სიმტკიცეზე. ასეთ ფერმერებს ხშირად აქვთ არასასოფლო-სამეურნეო შემოსავალი, შემოსავალი სხვა დარგებიდან, ხოლო ამ შემოსავლის ნაწილს ხშირად იყენებენ თავიანთ ფერმერულ მეურნეობაში.

მან აღნიშნა, რომ ეკონომიკური ზრდის კვალობაზე აშშ-ში ხდება აგრო-სამრეწველო კომპლექსის ფორმირება, ინტენსიურად იზრდება კვების მრეწველობა, მომსახურების სფერო, შეფარდებით მცირდება აგროკომპლექსში სოფლის მეურნეობის ხვედრი წონა. ამიტომ, დასკვნის იგი, თუ წინათ სოფლის მეურნეობა დიდად განაპირობებდა აშშ-ის ეროვნული შემოსავლის ზრდას, ესლა მასზე არსებით გავლენას ვერ ახდენს.

**ე. მ. კ. ლ. ნიკიფოროვის** (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი) მოხსენებების თემა იყო: „სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარება სოფლად“.

გაამაზვილა ყურადღება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორებზე.

ვრცლად შეჩერდა სოფლად არასასოფლო-სამეურნეო დარგებზე, რომლებიც წვრილი საწარმოების-სამჭედლოების, საფეიქრო საქმის და სხვათა სახით არსებობდა. ეს საწარმოები, როგორც მან აღნიშნა ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად თანდათანობით არაეფექტური ხდებოდა, ერთი შეხედვით ხელს უშლიდა სოფლის მეურნეობის განვითარებას — იზიდავდა სოფლის რესურსებს და სხვა, რის გამოც მრეწველობის განვითარების კვალობაზე ასეთი წვრილი საწარმოები სოფლიდან იდევნებოდა და სოფელი ხდებოდა წმინდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატარებელი, მაგრამ მეორეს მხრივ, როგორც მომხსენებელმა შენიშნა სოფლად არასასოფლო-სამეურნეო დარგების შემცირებას ახლდა ნეგატიური მხარეც, კერძოდ ის, რომ მან გამოიწვია სოფლის მოსახლეობის შემოსავლების შემცირება, რესურსების არა სრულად გამოყენება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დანაკარგების გადიდება და უარ-

ყოფითი სოციალური მოვლენები, შემცირდა პროფესიის არჩევის საშუალება, გაძლიერდა მიგრაცია და სხვა.

მომხსენებელმა დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ სოფლად არასასოფლო სამეურნეო დარგები განვითარდეს, მაგრამ სხვა საფუძველზე-აგროსამრეწველო ინტეგრაციის საფუძველზე. იგი არ ეთანხმება იმ შეცნეერთა მოსაზრებებს რომლებსაც არასასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარება სოფლად პროგრესულად არ მიაჩნიათ.

მომხსენებელი შემდეგ შეეხო წვრილჯგუფური და საოჯახო იჯარის საკითხებს, აღნიშნა რომ ეს არ ცვლის კოლმეურნეობებს, რომ ჩვენ ამით არ გადავდივართ წვილ წარმოებაზე.

**პროფესორ ე. კრილატიხის** (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი) გამოსვლის თემა იყო — „ეკონომიკური მათემატიკური მეთოდების გამოყენება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის დაგეგმვაში“.

მოხსენებაში დაახასიათა ფაქტორები, რომლებიც დადებითად მოქმედებენ აგროსამრეწველო ინტეგრაციის დაჩქარების პროცესზე. აღნიშნა, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფამ, ახალი სამეურნეო მექანიზმის ათვისებამ აგროსამრეწველო კომპლექსის, როგორც ერთიანი მთლიანის დაგეგმვაზე და მართვაზე გადასვლამ მოითხოვა ამ პროცესებისადმი სრულიად ახლებური მიდგომა.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრაზე, სტრუქტურული ცვლილებების ოპტიმიზაციაზე, აქედან გამომდინარეობს მისი აზრით მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების გამოყენების აუცილებლობა, აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სხვადასხვა დონისათვის ინფორმაციული სისტემის აგება და გამოთვლების ჩატარება. მან დაახასიათა მოდელთა ტიპები: დარგთაშორისი, ოპტიმიზაციური, იმიტაციური და სხვა.

მომხსენებელი აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემური მოდელირების კონცეპციის მომხრეა. იგი გამოყოფს ხუთ ყველაზე არსებით პრინციპს, რომელთა გამოყენება შეიძლება, როგორც ამოსავალი მეთოდოლოგიური დებულებანი ასკ-ის მოდელთა სისტემების აგებისათვის.

მაგალითისათვის მან მოიყვანა მოდელთა სისტემის ერთი ბლოკი კომპლექსის პერსპექტიული დაგეგმვისათვის. მან წარმოადგინა სქემები, სადაც ასახულია ასკ-ის მაკრო ეკონომიკური მოდელის გამსხვილებული სტრუქტურა და აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქტიული ქვეკომპლექსის განვითარების ოპტიმიზაციის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი.

მოხსენებაში აღნიშნული იყო ასკ-ის განვითარების ოპტიმიზაციის ეკონომიკურ მათემატიკური მოდელების გამოყენების შესაძლებლობები, როგორც სამეცნიერო გამოკვლევებში ისე საგეგმო მუშაობაში. აღინიშნა, რომ საგეგმო ორგანოების მუშაობაში მოდელების სხვადასხვა მოდიფიკაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას ავტომატიზებული სისტემების გეგმურ გათვლებში, რომლებიც საფუძვლად შეიძლება დაედოს ასკ-ის ხუთწლიანი პერიოდის განვითარებისათვის მაჩვენებლების ვარიანტული გათვლების ჩატარებას.

**პროფესორ სტენლი ს. ჯონსონის** (აიოვას შტატის პროფესორი) მოხსენების თემა იყო „ეკონომეტრიკული და საგეგმო მოდელების გამოყენება ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შემოქმედების შეფასებისათვის“.

როგორც მან აღნიშნა ფართომასშტაბიანი მოდელების თეორიები და მეთოდები 50-იანი წლებიდან ფართოდ იკიდებენ ფეხს. მოდელირების სისტემისათვის შეიქმნა სათანადო ტექნიკა. მან ფართოდ გააშუქა მოდელირების მასშტაბების და დანერგვის საკითხები.

უპირველეს ყოვლისა შეეხო პოლიტიკური მოდელირების საკითხს. აღნიშნა, რომ იგი ფართოდ უნდა გამოვიყენოთ.

გააშუქა რა მოდელირების მასშტაბების საკითხი აღნიშნა, რომ ფართომასშტაბიანი მოდელები მოიცავს ფერმერულ მეურნეობებს, ბაზრებს, მთლიანად სოფლის მეურნეობას, ცალკეულ ქვეყნებსაც კი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა აშშ-ის კერძო სექტორი გარკვეულ ინტერესს იჩენს ფართომასშტაბიანი მოდელირების შემუშავებით, განსაკუთრებით ბაზრების შესახებ, მოსალოდნელი ფასების შესახებ და სხვა. მან აღნიშნა, რომ 1960-70-იან წლებში შემუშავებული იქნა მოდელი მსოფლიო ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის პირობების შესახებ. იგი შეეხო ეკოლოგიური მოდელირების საკითხებსაც.

მომხსენებელი შეეხო მოდელების შემუშავებასა და გამოყენებაში კომპიუტერული ტექნოლოგიის როლსა და მნიშვნელობას.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა აგრეთვე მოდელების პრაქტიკული რეალიზაციის სიძნელებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ფართოდ შეეხო აგრეთვე იმას თუ რით განსხვავდება ერთმანეთისაგან მოდელირება აშშ-ში და სსრ კავშირში.

**პროფესორმა უოლეს ე. ხუფმანმა** (აიოვას შტატის უნივერსიტეტი) ისაუბრა თემაზე: „ფერმერთა გადაწყვეტილებანი წარმოების, მოხმარების და სამუშაო ძალის მიწოდების შესახებ. მოწმეთა მიმოხილვა ჩრდილოეთ ამერიკაზე“.

იგი თავის მოხსენებაში შეეხო ფერმერების შემოსავლების, ფერმერთა ფერმის გარეშე დასაქმების, მუშაძალით უზრუნველყოფის, ფერმერულ მეურნეობათა განვითარების გრძელვადიანი პროგნოზების საკითხებს.

როგორც მან აღნიშნა, ფერმერული მოსახლეობის ხვედრიწონა მცირდება, ხოლო შემოსავლის მიღებს პირობები უარესდება, სამაგიეროდ იზრდება ოჯახის წევრების ფერმის გარეშე მუშაობა, შესაბამისად იზრდება ფერმერთა ფერმის გარეშე მიღებული შემოსავალი. ფერმებში, როგორც წესი, მშობლება რჩებიან, ხოლო შვილები კი მიდიან ქალაქებში, სხვა სამუშაოებზე. რაც უფრო დიდია ფერმა მით უფრო მცირეა ფერმის გარეშე სამუშაოდან მიღებული შემოსავალი. ფერმერულ მეურნეობათა მხოლოდ 10%-ია შექცეული, ფერმერთა 2/3 პატარაა და არა აქვს დიდი შემოსავალი, მისი შემოსავალია ფერმის გარეშე მუშაობა.

შეეხო რა შემოსავლების საკითხს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფერმერთა შემოსავალი ერთსულზე გაანგარიშებით ბოლო ხანებში მცირდება. ბევრი ფერმა გაღარიბდა და ამიტომ მიატოვეს.

მომხსენებელი შეეხო ფერმერთა განათლების საკითხებს, რაც დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიის, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებასთან.

**აკადემიკოსმა ა. ლ. გუნია** (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი) მოხსენებაში — „საკუთრების ფორმების ერთიანობა და განსხვავება აგროსამრეწველო კომპლექსში და მათი თავისებურებანი საქართველოს სსრ-ში“ ყურადღება გაამახვილა იმაზე თუ რა არსებითი ცვლილებანი შეიტანა საკუთრების ურთიერთობებში

აგროსამრეწველო ინტეგრაციამ. როგორც აღინიშნა მოხსენებაში, რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ უფრო მეტად დაუახლოვა ერთმანეთს საკუთრების ყველა ფორმა ერთიან წარმოებრივ და კვლავწარმოებრივ პროცესში, რომ თანამედროვე აგროსამრეწველო კომპლექსი წარმოადგენს სოციალისტურ საწყისებზე, საკუთრების მრავალი ფორმის — სახელმწიფო, საკოლმეურნეო-კოოპერაციული და პირადი მეურნეობების ერთიანობას, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული არიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას, ტრანსპორტირებას, გადამუშავებას, შენახვასა და რეალიზაციასთან.

მომხსენებელი შეეხო რა პირადი საკუთრების ადგილს რესპუბლიკის ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულებათა სტრუქტურაში აღნიშნა, რომ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარებასთან ერთად, მისი ხვედრითი წილის ზრდის მიუხედავად, ეკონომიკის განმსაზღვრელი მაინც სახელმწიფო საკუთრება იქნება. ამიტომ, აღნიშნა მომხსენებელმა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საზღვარგარეთელი სოვეტოლოგების განცხადება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირში და მათ შორის საქართველოში მიმდინარეობს კერძო სექტორის აღორძინება ე. წ. საბაზრო სოციალიზმის განვითარება. სათანადო ციფრობრივი მონაცემების საფუძველზე მან წარმოადგინა დასაბუთებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ საცალო საქონელბრუნვაში ისევე, როგორც სურსათით ვაჭრობაში თანაფარდობა განსაზოგადოებულ და არაგანსაზოგადოებულ სექტორებს შორის იცვლება განსაზოგადოებული სექტორის სასარგებლოდ. ეს თავისებურება დამახასიათებელია, როგორც მთლიანად კავშირისათვის, ისე საქართველოს ეკონომიკისათვისაც.

მომხსენებელმა სათანადო მონაცემებზე დაყრდნობით განავითარა შეხედულება იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოება თავისი ხასიათით და განვითარების მიმართულებით წარმოადგენს განსაზოგადოებულ წარმოებას სადაც სახელმწიფო მეურნეობას წამყვანი როლი უკავია.

მესამე სხდომას თავმჯდომარეობდნენ აკადემიკოსი ა. გუნია და პროფესორი ლ. ტვიტენი.

მოხსენებები წარმოადგინეს:

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ვ. ზოევმა** (სოფლის მეურნეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი) თემაზე: „ორგანიზაციულ-ეკონომიკური გარდაქმნები აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში“.

იგი შეეხო იმ ცვლილებებს აგროსამრეწველო კომპლექსის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაში, რომელიც ბოლო ხანებში განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში, რაც უდაოდ აღიღებს ინიციატივას და ქმნის ახალ სტიმულებს წარმოების ზრდისათვის. მაგრამ, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა ფასების სისტემა და სამეურნეო მექანიზმის სხვა ინსტრუმენტები ძირეულად უნდა შეიცვალოს და გაიზარდოს მისი ზემოქმედება წარმოებაზე. შეეხო რა ფასწარმოქმნის სრულყოფის საკითხებს, მან აღნიშნა, რომ იგი უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად სათანადო მოთხოვნილების დაცვით, რასაც თანამედროვე ფასწარმოქმნა უნდა აკმაყოფილებდეს.

სათანადო ადგილი დაუთმო რა მართვის სრულყოფის საკითხებს, მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა აგროსამრეწველო კომპლექსის, როგორც ერთიანის და მთლიანის მართვის უზრუნველყოფაზე, საწარმოთა ინიციატივისა

და პასუხისმგებლობის ამაღლებაზე რესურსების ეფექტიან გამოყენებაში, სოციალური საკითხების გადაწყვეტაში, სათანადო პირობების შექმნაზე სასაქონლო ფულადი ურთიერთობების უკეთ გამოყენებაში.

მომხსენებელი ფართოდ შეეხო აგროსამრეწველო კომპლექსის დაგეგმვის სისტემის, დაგეგმვის მეთოდების საკითხებს, რაც პრინციპულად იცვლება მეურნეობრიობის ახალ პირობებში.

გააშუქა რა აგროსამრეწველო ფორმირებათა განვითარების საკითხები, მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა აგროსამრეწველო კომბინატებზე, აგრეთვე აგროსაწარმოო სისტემაზე, როცა მოწინავე სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერირების საფუძველზე სამეურნეო-ტექნიკურ მიღწევებს ნერგავს სხვა საწარმოში. მოხსენებაში სათანადო ადგილი დაეთმო რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა მართვის დემოკრატიზაციის საკითხებს.

**პროფესორმა კარენ მ. ბრუკსმა** (მინესოტის უნივერსიტეტი). მისი მოხსენების თემა იყო: „ფასწარმოქმნა სოფლის მეურნეობაში. აშშ-ის და სსრ კავშირის გამოცდილება“.

უპირველეს ყოვლისა შეეხო ფასების ცვლილების საკითხებს და აღნიშნა, რომ მწარმოებლებს უნდა შეეძლოთ ფასების პროგნოზირება რამდენადაც ეს დიდ გავლენას მოახდენს თვით ფასების დონეზე. აშშ-ის ეკონომისტებმა აღნიშნა მან ამ მხრივ ბევრი ვაკეეთეს და ამის გარეშე მწარმოებლები არ იქნებოდნენ სწორად ორიენტირებულნი ბაზრებზე მიწოდება-მოთხოვნილებას შორის სათანადო წონასწორობის დამყარებისათვის.

შეეხო რა ფასწარმოქმნის საკითხებს სსრ კავშირში, იგი ეთანხმება ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ფასები სსრ კავშირში ჯერ კიდევ ვერ გახდა ეკონომიკის აქტიური ბერკეტი და რომ საჭიროა გარდაქმნა ამ სფეროში. მან აღნიშნა, რომ თუ სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფოებრივი შესყიდვა შემცირდება, მეურნეობები პროდუქციის დიდ ნაწილს გაყიდვას თავისუფალ ბაზარზე, რაც მისი აზრით, დიდ გავლენას მოახდენს მეურნეობათა სპეციალიზაციის გაღრმავებაზე.

იგი შეეხო აგრეთვე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში მყარი ფასებისა და მოქნილი ფასების თანაფარდობის პრობლემებს. მან ხაზი გაუსვა, რომ სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის სსრ კავშირში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს შრომის ნაყოფიერების ზრდას და წარმოების დანახარჯების შემცირებას სოფლის მეურნეობაში.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ფასების ინდექსების გაანგარიშებაზე. მან აღნიშნა, რომ აშშ-ში ეს იყო პარიტეტული ინდექსები, რაც საჭირო იყო იმისათვის, რომ ფერმერთა შემოსავალი არ შემცირებულიყო.

მან გარკვეული ინტერესები გამოხატა ფასების ინდექსების გამოანგარიშების მეთოდის საკითხებისადმი სსრ კავშირში.

**დოქტორმა ემანუელ ო. მელიჩარმა** (ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭო). მან წაიკითხა მოხსენება თემაზე „ფინანსები სოფლის მეურნეობაში: მობრუნება ფერმერთა დავალიანების პრობლემაში“.

შეეხო რა ფერმერთა მეურნეობათა ეკონომიკურ მდგომარეობას აღნიშნა, რომ 1970-იანი წლების აღმავლობის შემდეგ 80-იანი წლებიდან ფერმერთა ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა, როცა ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე და მიწაზე დაეცა. იზრდება ფერმერთა დავალიანება, ბევრი მათგანი ავირავებს ან ყიდის ქონებას. ზოგიერთი მეურნეობის მდგომარეობა

დროებით უმჯობესდება იმით, რომ იგი გაკოტრებული ფერმების ხელიდან შეძლებული მევალის ხელში გადადის.

პროფ. მელიჩარის მოხსენების მეორე ნაწილი ეხებოდა კომერციული ბანკების დამოკიდებულებას ფერმერთან, იგი შეეხო აგრეთვე სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის საკითხებს.

მომხსენებელი შეეხო რა მოიჯარე ფერმერთა მდგომარეობას, აღნიშნა, რომ მიწაზე ფასების დაცემის პირობებში, ფერმერთა ეს კატეგორია განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ვარდება. ბევრი ასეთი ფერმერი გამოსავალს ხედავს იმაში, რომ პარალელურად დასაქმდეს არასასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

**ე. მ. კ. დ. ს. დიასამიძემ** (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე) თავის მოხსენებაში „საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურის სრულყოფის შესახებ“, ყურადღება გაამახვილა იმ სტრუქტურულ ცვლილებებზე, რაც რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში მიმდინარეობს ბოლო ხანებში დარგობრივ-ფუნქციონალურ კრილში. იგი ვრცლად შეეხო რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირებისა და განვითარების რეგიონალურ თავისებურებებს. მან აღნიშნა, რომ ეს კომპლექსი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია, რომ მასში დიდი ხვედრიწონით (უფრო მეტად ვიდრე საშუალოდ კავშირში) არის წარმოდგენილი სოფლის მეურნეობა, რაც გარკვეულად იმითაც აიხსნება, რომ მეტად მცირეა მასში წარმოების საშუალებათა მწარმოებელი დარგების, აგრეთვე მომსახურების სფეროს ხვედრი წონა. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის თავისებურებანი — მთიანი მიწათმოქმედების დიდი ადგილი, ისეთი კულტურების დიდი ხვედრიწონა, რომელიც ძნელად ექვემდებარება მექანიზაციას, მალფუჭადი პროდუქტების სიჭარბე და სხვა, დღის წესრიგში სვამენ აღნიშნული დარგების პრიორიტეტულ განვითარებას.

მომხსენებელი შეეხო, რა აგროსამრეწველო ინტეგრაციის საკითხს მიკროეკონომიკურ დონეზე, აღნიშნა, რომ ეს პროცესი ჯერ კიდევ ნელა მიმდინარეობს, რაზედაც გარკვეული ზომით მოქმედებს სოფლის მეურნეობის სოციალური სტრუქტურა.

მოხსენებაში გარკვეული ადგილი დაიკავა აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურის მართვის და სამეურნეო მექანიზმის კავშირთიერთობის საკითხმა. აღნიშნა, რომ დარგობრივი მიდგომა კომპლექსის მართვაში გარკვეული დროის მანძილზე ვერ ქმნიდა სათანადო პირობებს მისი შეწონასწორებული განვითარებისათვის. ზემდგომი ორგანოების ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები მიმართულია მართვის ისეთი მექანიზმის ფორმირებისაკენ, რომელიც უზრუნველყოფს კომპლექსში შემავალ დარგთა ინტერესების დაახლოებას მისი საბოლოო შედეგების გადიდების მიზნით.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სოფლის მეურნეობაში ფასწარმოქმნის საკითხებზე, აღნიშნა, რომ იგი, როგორც ეკონომიკური ბერკეტი ჯერ კიდევ ვერ გამოიყენება მაღალეფექტიანად წარმოებაზე, პროდუქციის ზრდაზე, მისი ზემოქმედების გაძლიერების მიმართულებით. შეეხო ფასწარმოქმნის სრულყოფის ზოგიერთ საკითხს.

**პროფესორმა ვ. კ. ბურკაძემ** (სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობას

შემსრულებელი) წაიკითხა მოხსენება თემაზე — “საქართველოს სსრ აგრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარების საკითხები“. უპირველეს ყოვლისა იგი შეეხო აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოების ფორმირებისა და განვითარების საკითხებს რაიონისა და რესპუბლიკის დონეზე. დაახასიათა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის თავისებურებანი, და განვითარების ძირითადი მიმართულებანი, გაამუქა ის კონკრეტული ამოცანები, რომლებიც ამჟამად დგას მის წინაშე.

მომხსენებელი შეეხო აგროსამრეწველო კომპლექსის კვალიფიციურა კადრებით უზრუნველყოფის, კადრების მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემას. ყურადღება გამახვილა რა აგროსამრეწველო კომპლექსის ძირითად მიმართულებებზე წინა პლანზე წამოსწია ისეთი საკითხები, როგორცაა სასოფლო სამეურნეო მანქანათმშენებლობის და უპირველეს ყოვლისა, მთიანი რეგიონისათვის მცირე მექანიზაციის საშუალებათა წარმოების გადიდება, ქიმიური მრეწველობის ზრდა, მინერალური სასუქის ხარისხის ამაღლება და ასორტიმენტის გაფართოება, კომბინირებული საკვების და მიკრო-ბიოლოგიური მრეწველობის განვითარება, მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა წარმოების გაფართოება და სხვა, განსაკუთრებული ადგილი დაუთმო სოფლის მეურნეობის კულტურებისა და დარგების გაადგილების, წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავების, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მცირენა-რჩენიანი კომპლექსური გადამამუშავების ტექნოლოგიის დანერგვის და სხვა საკითხებს. იგი შეეხო აგრეთვე სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებებს: ცხოველთა ახალი ჯიშების გამოყვანას, დიფერენცირებული აგროტექნიკის დამუშავებას, ახალგაზრდა ნარგავთა დაჩქარებული ფორმირების მეთოდების დანერგვას, სწრაფმწიფადა და მაღალმოსავლიანი ჯიშების გამოყენებას, მიწების მელიორაციას, განმლაშებას და სხვა.

**პროფესორმა ბრიუს ლ. გარდნერმა** (მერილენდის უნივერსიტეტი). წაიკითხა მოხსენება თემაზე „აშშ-ის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის რეფორმის შესაძლებლობანი“.

მომხსენებელი შეეხო სოფლის მეურნეობის საბიუჯეტო დაფინანსების, მიწის რესურსების გამოყენების, გასაღების სიძნელეების, სოფლის მეურნეობის დარგში სტრუქტურული პოლიტიკის და სხვა საკითხებს.

მან აღნიშნა, რომ სახელმწიფო აშშ-ში ყოველდღიურად 25 მლრდ. დოლარს ხარჯავს, რათა შეინარჩუნოს ფასების სათანადო დონე სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. რეალიზაციის სიძნელეების გამო, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, გამოუყენებელია დასამუშავებელი მიწის დიდი ნაწილი. თითქმის მეოთხედი. დიდი ხარჯების გაღება უხდება სახელმწიფოს ყოველწლიურად რესურსების არარაციონალური გამოყენების გამო.

შეეხო რა გასაღების სიძნელეებს პროფესორმა გარდნერმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სიმინდის გასაღების სიძნელეებზე შედარებისათვის, მან აღნიშნა, რომ სიმინდის ზონას აშშ-ში 100 მლნ. აკრი უკავია. (ერთი აკრი მიწის რენტა 100 დოლარს უდრის).

მომხსენებელმა გააკრიტიკა აშშ-ის აგრარული პოლიტიკის და, კერძოდ, სტრუქტურული პოლიტიკის კურსი, რომ აუცილებელია მისი შეცვლა იმ მეტად მნიშვნელოვანი მომენტის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობის სტრუქტურა სხვადასხვა ზონაში სხვადასხვა ეფექტიანობით ხასიათდება.

სიმპოზიუმის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა ო. საღარეიშვილმა, ჰ. გიორგაძემ, დოცენტებმა ო. ვაშაკიძემ, გ. ყუფუნიაშვილმა და სხვებმა.

საბოლოო სიტყვაში საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა აკადემიკოსმა ტ. ხაჩატუროვმა აღნიშნა, რომ ასეთი ურთიერთშეხვედრები სასარგებლოა ორივე მხარისათვის, იგი მიმდინარეობდა გულლიად გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. მოხსენებებმა და კამათმა გვიჩვენა, რომ ჯერ კიდევ გვაქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ბევრი გამოუყენებელი რეზერვი.

მან სურვილი გამოთქვა, რომ ორივე სიმპოზიუმის მასალა რომელიც ჩატარდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებზე ქ. ბოსტონში (აშშ) და ქ. თბილისში (სსრ კავშირი), მიზანშეწონილი იქნებოდა გამოგვექვეყნებია.

აშშ-ის დელეგაციის მეთაურმა პროფესორმა ფ. ხოლცმანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ შეხვედრა სასარგებლო იყო ორივე მხარისათვის, რომ იგი ხელს უწყობს ჩვენს დაახლოებას და ურთიერთგაგებას. მან აღნიშნა, რომ სიმპოზიუმის მუშაობა ორგანიზებული იყო კარგად, შექმნილი იყო მუშაობის ყველა საჭირო პირობა. მადლობა გადაიხადა იმ დიდი ყურადღებისათვის, რაც სტუმრების მიმართ გამოიჩინეს თბილისელმა მასპინძლებმა.

სიმპოზიუმის შედეგების შესახებ მისმა მონაწილეებმა მიიღეს კომუნიკე.

საბჭოთა კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომისტთა მეთაურ სიმპოზიუმის შემდეგ მოეწყო ექსკურსია. სტუმრებმა დაათვალიერეს საწარმოო გაერთიანება „თბილრძე“ და თელეთის მეცხოველეობის კომპლექსი.

დ. დიასანიძე

## ИССЛЕДОВАНИЕ ПО ВОПРОСАМ ПРОДУКТИВНОСТИ

Проблема эффективности производства является одной из важнейших, исследованию которой к настоящему времени посвящен целый ряд работ как у нас в стране, так и за рубежом. Среди них лишь немногие не просто рассматривают современное состояние той или иной концепции, а ее эволюцию, что позволяет более глубоко осмыслить сущность проблемы. Именно такой целостной работой можно считать рецензируемое исследование<sup>1</sup>, которое посвящено проблеме продуктивности как одной ветви более общей проблемы эффективности.

В начале работы автор делает, на наш взгляд, вполне обоснованное замечание терминологического характера (с. 6—8). В частности им предлагается разграничить терминологически способность человеческого труда создавать продукцию и аналогичную способность средств производства; эта общая способность характеризуется терминном «продуктивность», но, учитывая активное начало человеческого труда, без которого указанная способность средств производства остается нереализованной, по утвердившейся традиции «продуктивность труда» квалифицируется как «производительность труда».

В соответствии с целью исследования значительное место в работе отведено рассмотрению эволюции теорий продуктивности капитала, начиная от учений А. Смита и Ж. Б. Сэя и кончая некоторыми современными разновидностями этих теорий.

Как известно, во многих работах немарксистского характера под капиталом подразумевают исключительно средства производства; под продуктивностью же капитала подразумевается некая способность средств производства приносить прибыль. В работе показано, что эта идея имеется в зачаточном состоянии в учении А. Смита и как она обнажается в теории факторов производства Сэя (с. 9—15).

Заслуживает внимания та часть работы, в которой рассматриваются вопросы отношения главы австрийской школы буржуазной политической экономии Е. Бем-Баверка к теориям продуктивности капитала. Он внес значительный вклад в критику этих теорий (как стоимостной, так и физической ее версий), что является признанным фактом в марксистской экономической литературе. К сожалению, несмотря на последовательную критику указанных теорий, теория прибыли самого Бем-Баверка тоже содержит в мотивированном (по его же терминологии) виде идеи продуктивности капитала (с. 33—36).

В работе показано, что немарксистскими учеными XX столетия теория продуктивности капитала практически не развивалась, хотя сама идея продуктивности встречается в эклектической смеси с другими идеями, «обосновывающими» неэксплуататорский характер прибыли и проценты на капитал.

<sup>1</sup> Папава В. Г. Теории продуктивности капитала и модели межотраслевого баланса. Тбилиси, 1987.

Небезынтересна и та часть работы (с. 48—54), в которой приводится известная марксова критика теорий продуктивности капитала. К. Маркс доказал несостоятельность идеи продуктивности капитала, как некой магической способности средств производства приносить прибыль; вместе с тем он показал, что сущность продуктивности капитала заключается в тех специфических производственных отношениях, характеризующих капитал, которые путем эксплуатации наемного труда создают для капиталиста прибавочную стоимость, превращенной формой которой является прибыль.

На основе обобщения той, безусловно неоспоримой идеи, содержащейся в физической версии теории продуктивности капитала, согласно которой с помощью более совершенных средств труда производится больше и лучшего качества продукции, чем без их помощи, автору удается разработать концепцию продуктивности производства (с. 55—68) как составной части теории эффективности производства. В этой части работы, по нашему мнению, особо следует отметить раскрываемую автором интересную взаимосвязь между идеей продуктивности общественного производства и марксовыми условиями расширенного общественного воспроизводства (с. 56—58). Заслуживают внимания и выявленные в работе формы годового общественного продукта (конечный общественный продукт — статическая, конечный общественный продукт-нетто — полудинамическая, полностью конечный общественный продукт — полностью динамическая форма), через которые реализуется продуктивность общественного производства (с. 61—63).

В заключительной части работы рассматриваются свойства продуктивности и прибыльности статических моделей межотраслевого баланса (с. 69—81). На наш взгляд, автором получены интересные результаты по масштабированию измерений продукции с целью выполнения известных условий продуктивности Брауэра—Солоу (с. 73—78). Интересны и рассуждения автора по разграничению условий продуктивности и прибыльности (с. 79—81).

Не снижая достоинств рецензируемой работы, необходимо сделать следующие замечания:

— хотя мы и согласны с автором в том, что современные разработки немарксистских экономистов не внесли практически ничего нового в саму идею продуктивности капитала, но более широкое их рассмотрение значительно обогатило бы работу;

— для полноты исследования вопросов продуктивности моделей межотраслевого баланса не следовало ограничиваться рассмотрением только статической модели, ибо куда более сложные вопросы аналогичного характера возникают относительно динамических межотраслевых моделей.

Рецензируемая работа Папава В. Г. выполнена на высоком научном уровне и заслуживает положительной оценки. В ней удачно сочетаются как политэкономическое, так и экономико-математическое исследование вопросов продуктивности производства.

ХАРБЕДИЯ Р. С.,  
ЦЕРЕТЕЛИ Г. Ш.

### აჭ ტ უ ა ლ უ რ ი პ რ ო ბ ლ ე მ ი ს ბ ა ნ ხ ი ლ ვ ა

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნა, საზოგადოებრივი ცხოვრების განახლება ახალგაზრდა მეცნიერ-ეკონომისტს დიდ შესაძლებლობებს და ასპარეზს უქმნის გამოავლინოს ინდივიდუალობა და შემოქმედებითი პოტენციალი. ასეთ პირობებში ახალგაზრდა მეცნიერი უფრო გაბედულად უნდა იკვლევდეს სადღეისო ეკონომიკურ პრობლემებს. ასეთი პრობლემის საინტერესო კვლევაა მოცემული ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელის ე. მ. კ. თ. ბერძის წიგნში „რეგიონალური ეკონომიკის ეფექტიანობა (პოლიტეკონომიური ასპექტი)“, რომლის საჯარო განხილვა მოეწყო ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტში.

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში პროფ. ლ. ჩიქავამ. მან აღნიშნა, რომ სოციალიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც პარტიის ეკონომიკურ პოლიტიკას საფუძვლად უდევს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფცია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებას. ამ პრობლემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია წარმოების რეგიონალური ეფექტიანობა და ყოველივე ეს განაპირობებს ნაშრომის აქტუალობას.

იდიკიალური რეცენზიები წარმოადგინეს პროფ. ლ. ჩიქავამ და ე. მ. კ., დოცენტმა ჯ. ჩხიკვაძემ.

პროფ. ლ. ჩიქავამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ნაშრომში გახსნილია მეურნეობის პოლიტეკონომიკური შინაარსი რეგიონის დონეზე. განხილულია, ერთი მხრივ, რეგიონის განსხვავება სახელმწიფო საწარმოსაგან, ხოლო, მეორე მხრივ, დარგისაგან. მოცემულია საზოგადოებრივი კვლავწარმოების რეგიონალური ფორმის, როგორც წარმოებით ურთიერთობათა გამოვლინების, სპეციფიკური ფორმის განსაზღვრულობა. ნაჩვენებია რეგიონალური ეფექტიანობა, როგორც სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის განსაკუთრებული დონე. გაანალიზებულია წარმოების რეგიონალური ეფექტიანობის კრიტერიუმი და მაჩვენებელთა სისტემა, შემოთავაზებულია რეგიონის ეკონომიკის მართვის სრულყოფის გზები.

ნაშრომის დადებითი მომენტების გაშუქებასთან ერთად, რეცენზენტი შეეხო ზოგიერთ საკითხს, რომლის მიმართაც მას სხვაგვარი მოსაზრება ან შენიშვნა გააჩნდა. კერძოდ, იგი არ დაეთანხმა ნაშრომში მოცემულ დებულებას, რომ საზოგადოებრივი (სახალხომეურნეობრივი) წარმოების ეფექტიანობის და რეგიონალური ეფექტიანობის ერთიანობა მდგომარეობს სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტში (საზოგადოებრივი წარმოების უზენაესი მიზნის რეალიზაციაში სოციალიზმის დროს), ხოლო სხვაობა — ზოგადეკონომიკურ ასპექტში — რეგიონალური წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლებში. რეცენ-



626/90

ფასი 85 კაპ.

ინდექსი 76196